






შინაარსი

ქურნალ „ჯეჯილისა“

I ჩემო ბიჭუნავ! სურათი	450
II ნაბია და წიკა ლექსი შიო მღვიმელისა	451
III არწივი და ფუტკარი	453
IV როგორ უყვარდა ბობის თავისი პატრონი	454
V ცელქები (შემდეგი იქნება) კოჭანდარისა	456
VI რთველი ლექსი კაპანისა	463
VII ქვრივი ხელმწიფე ზღაპარი გ. დ. ჭრელაშვილისა	464
VIII ვინა და ბალი (იგავ-არაკი) ი. სიხარულიძისა	474
IX კოწო და მისი ნაცნობები (შემდეგი) ან. წერეთლისა	477
X წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსა- თქმელი, ხალხური, შარადა და ახსნა	486
XI შემოდგომა ლექსი იპო ჯინორიძისა	489
XII შემოდგომის სურათი—სადიკოსი	490
XIII ოქროს შეხება, მეფე მიდასის თავგადასავალი (და- სასრული) ან წერეთლისა	492
XIV როგორ გავატარე ზაფხული მიმქრალისა	497
XV კალია—კარლ ევალდისა (თარგმანი, (შემდეგი დავით დონდუასი	504

„ჯეჯილის“ რედაქცია სთხოვს ყველას, რომ მის დაუკითხავათ ქურნალიდან არაფერი არ გადაბეჭდონ.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს, ვი-საც ხვედრი ფული არა აქვთ შემოტანილი—დააჩქარონ გამოგზავნა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



საუმაწვილო ნახატებიანი

შუიწნალი.

იზარდე, შწვანე ჯეჯილდე
დაბურდი, გაზდი ყანალი.

ი. დ.



სექტემბერი, 1916 წ.



◆ წელიწადი მეოცდამეხუთე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „შრომა“, გუზრანის ქ. № 12.

1916

156.



ჩემო ბიჭუნავ!

ნაზია და წკიპა.

ეი, ბიჭო, ბიჭო, წკიპა!

გასსოვს ბებომ რომ გაგწკიპა?

ვაშლის ქურდი დედის კალთას

ამოეკარ როგორც ტკიპა.

— შე, ნაზიავ, მერე მაგას

ვინა ძალავს, ვინა ჩქმალავს!

თუ მაგრეს შენ კი ჩემზე

ცოტა რაჲ მოგიპარავს?!

— აბა როდის? — აი გუშინ,

თუნდა ვკითხოთ ეგე ჯიბოს,

შერცხენილი ის გამოდგეს

ტყუილები ვინც ჩაჯიბოს.

— რაო, რაო? რაღა ცრუობ

შე ბაბრიავე, შე ნაგასა?

ცხელ თათარას კოვში ცხვირში

მაშ დედაშ ვის უთავასა?

— წიტებს ვლოკდი, — ჭო და რაკი

ვეღარაფრით დაგოკა,

მსუნავსა და აჟ-მუცელას

ციცხვიც შიტომ გაგალოკა.

— ბიჭო, განა მერე ამას

შენ ემასი ქურდობასა?!

შე შედრეგო, აღარ გასსოვს
 საწნასელში უურმნობასა,

ტკბილის ნაცვლათ ჩაფუნიდან
 ვინა ჰქელაპა ჩუმათ დურდო?
 ვინ გათათხეს? მე თუ წკიპა,
 აფეიაჲ და მართლა ქურდო!

— აბა როდის, აბა როდის,
 მტეუანს მოსტედეს მართლა ენა,
 ცილს რომ მწამებ უნამუსოთ
 ესეც შენა, ესეც შენა!

ორ ზაწია მებრძოლ შორის
 დატრიალდა ჩსუბის ჯარა,
 ტკბილ ღიმილით გამჟღელება
 ისევე ბებომ დაჩქარა,

ხიწია კაბის კალთა,
 ხელი ჯიბეს დაისწორა,
 ამოიღო წუვილი ვაშლი
 და ცალ—ცალკე გაუგორა.

შიო მღვიმელი



არწივი და ფუტკარი.



რაგის შეპურდება შენი ბედი,
უთხრა ერთსელ არწივმა ფუტ-
კარს.—მთელ შენ სისოცსლეს
მუშაობაში ატარებ და კი არავინ
გიცნობს, იმიტომ რომ ერთ ფო-
ტა თაფლზე ათასი მუშაობს. ვინ
გაარჩევს შენ ნამუშავარს?

— რა საჭიროა შეიტყონ
ვინ რას აკეთებს? უზასუნა ფუტ-
კარმა.—რა ვუყოთ რომ მე არ მიცნობენ? ეველას
ხომ უუვართ ჩვენი თაფლი. მე ბედნიერი ვარ იმითიც,
რომ სკაში შემაქვს ერთი წვეთი თაფლი მაინც.

— აბა ასლა შეადარე შენი ბედი ჩემ ბედს, ხელ
ასლათ უთხრა არწივმა.—როგორც კი გამოფხნდება ცის
კამარაზე ეველა ჩემკენ გამოიუურება. დედა-მიწაზე ეველა
მიცნობს—ფრინვლებიც და ჰირუტეულებიც. მწუქსნი,
რომელიც უდგია ოავის ფარას, რაკი დაძინასავს
სულ განაბული თვალს აღარ მაშორებს. აი როგორ
მიცნობენ მე დიდიდან ჰატარამდე.

— ეგ იმიტომ რომ შენი, ემინიანთ, უზასუნა
ფუტკარმა.—მე სულაც არ მინდა რომ აგრე ემინო-
დეთ ჩემი.



როგორ უპარდა გოგინ თავისი პატრონი.



ნგლისის ერთ ქალაქში მოკვდა ღარიბი კაცი სასულათ გრემი, ცხედარს სასაფლაოზე გაქვება ორი—სამი კაცი. უველამ უურადღება მიაქცია, რომ კუბოს მიჭეუებოდა სასაფლაოდის მისი ძაღლი ბობი. ძაღლი თავნადუნული ღმუილით მისდევდა ცხედარს.

დასაფლავების მეორე დღეს სასაფლაოს დარაჯმა დაინახა ძაღლი თავის პატრონის საფლავზე, რადგან აღკრძალული ჰქონდა დარაჯს შიგ შეეშვა ძაღლი, მან მაშინვე გააგდო.

მესამე დღეს ძაღლი ისევ მივიდა თავის პატრონის საფლავზე, დარაჯმა ხელახლათ გააგდო.

მეოთხე დღეს საშინელი ავდარი იდგა: ქარი ჰქროდა, ციოდა და ტალახი იყო, მაგრამ ძაღლი კიდევ მივიდა საფლავზე და ფეხს აღარ იცვლიდა იქიდან. მოხუც დარაჯს შეებრალა და მისცა საჭმელი. ბობი მიხვდა, რომ დღეის იქით არ გააგებდნენ და სრულებით დაბინავდა პატრონის საფლავზე.

ბევრმა შეიტყო ბობის ერთგულება და მის საზრდოზე მოჭევენ ზრუნვას. ათი წელიწადი დაჟყო ბობიმ გრემის საფლავზე.

ზოგიერთ კეთილ ადამიანებს უნდოდათ ბობი სიბერის დროს თავისთან წაეყვანათ, მაგრამ ვერ მიიკარეს. ერთგული ძაღლი თავის პატრონის საფლავზე მოკვდა. ბობის თავგანწირულება ბევრს დიდ-ხანს ახსოვდა.



ც ე ლ ქ ე ზ ი.

I



ამრიკო, თამრიკოოო! — წკრიბლა
ხმით გასძახა ლექსომ აივნოდან
ზატარა დას, რომელიც უშმოთ
სადღაც გაქრა და რმით სავსე ჯამს
გარშემო აღარ უტრიალებდა.
— აჭახა! — მოისმა შორიდან გოგო-
ნას სმაც.

— მიხედე გოგო, შენი საუვარელი ფისუა კნა-
ვის. ალბათ მოძივდა ზატარა ბატონს.

თვალის დასამსახებაში თამრიკო ფისუასთან
გაჩნდა. ცუგრუმელას ზაწია კალთით თივის კონა
მოჭკონდა და მხიარულის ხმით მოიძღვროდა.

ფისუა ფესკერფით გამოეგება აივანზე თავის
ოქროს თმიან მეგობარს; კუდი აბზიკა, გრძელ ულ-
ვაშებსზე სორკლიანი ენა ღიმილით გადაისვა და სამ-
ჯერ ზედი-ზედ შეკნაჟლა.

— ლა გინდა, ჩემო ფისუნია, ჩემო ზატარა
ბატონო! — დაუევაზა თამრიკომ კატის ჭრელ ცინ-
დალს და აღტაცებით გულში მაგრათ ჩაიკრა. — შენ

გვეონა მიგვიწეე და ობლათ დაგტოვე? არა, გენაცვალე, მე შენ თიჯა მოგიბრეინე, იმით ჰატარა ბინას გაგიკეთებ და, როცა მე შინ არ ვიქნები, იქ იქნები სომ, ა? სომ აჯობებს!

— მიააუუ!—მსიარულათ მიუგო ფისუამ.

— კიო, კიო, აჯობებსო, მეუბნება.—შენ შემოგველოს თამრიკო, აგრე სჯობია! ერთიც ვნახოთ ღ მე ნათლიასთან წასვლა მომიხდეს, შენ ესოში ძებნა დამიწეო და ქუჩაზე გადახვიდე, სომ დაიკარგები! ბინას რო მიგიჩენ, ეს მარცხი აღარ გაგვაშწარებს: ჩასკუჭდები შიგ და ტკბილათ დაიმინებ. აბა ახლა ბინა გაგიკეთო! აბა გავაკეთო! აი, როგორ გავაკეთებ ერთი მიუურე!—ტიტინებდა ცქრილათ თამრო და სმელ ბაღასს რბილათ უფენდა. კუდ-ამოძუებული ფისუა დიდი სიამოვნებით შემტყრებოდა მას.

— აი მოგიწეე კიდევ ბინა, მორჩა და გათავდა! ახლა ჩაცვამ, აბა თუ კარგათ მოიკალათებ!—სთქვა ციბრუტამ და ჰატარა ჭკვიანი ცხოველი გაკეთებულ ბინაში ჩააკოტრიალა.

გაოცებული ფისუა გაკვირვებით თვალს არ აშორებდა თამროს.

— მიაააუ!—დაიკნავლა მან და მეგობარს კალთაში ჩაუკოტრდა.

— ახლა წამო და ვისაუხმოთ. ორივეს გვძია. ჩემო ფისუნია, სომ გძია? ა? კი-სომ?

— მიაააუუ!

— კიო, კიო, ვენაცვალე ჩემს თვალის სინათლეს!—წამოიძახა გასარებულმა თამრომ და ფისუა დასადილოსკენ გაარბენა.



საქართველო
1924 წლის

ზაწია გოგონა ხან კისერში იხუტებდა და ხან გულში საუფარელ ფისუას და წამ-და-უწუმ ნორჩ თითებს გადამწკინებულ უღვაშებზე ფრთხილათ უცაცუნებდა.

— რა მოგართვა, ფისუნია, ჰურის ნამცეცი თურმე!

— მიაუუ! — იყო ზასუსი.

— სთქვი, შე კაი კაცო, გულთმისანი სო არა ვარ, გავიგო რომელი უფრო გიაშება!

თამრიკომ უღვაშები გადუგრისა ფისუას. ფისუამ ენა გამოყო და გადგრესილ უღვაშებზე მედიდურათ გადაისვა.

— ჭო, ახლა-კი მიგიხვდი, შე ეშხაკო, რმეს თხოულობ განა? — გადიკისკისა თამრომ და ჯამით რმე მიართვა.

ფისუა ხარბათ სვლეზდა რმეს. ეტუობოდა დილას აქეთ არაფერი ეჭაძა. თამრო ქოჩორს უფხანდა საუფარელ ფისუას და ნაზი სმით სასიამოვნოთ უმღერდა. ფისუამ რმე უკვე შესვლია და ტუჩები ენით გაიხუფთავა.

— უი, შენ-კი გენაცვალე! — შესჭვივლა განხლისებულმა თამრომ და მეგობარს ტუჩები ჩაუკოცნა.

უსებ კარებიდან ხარხარი მოისმა. განცვიფრებულმა გოგონამ უმაღლეს უკან მოიხედა და ცელქლექსოს თვალი მოჭკრა...

ლექსო სითხითისაგან მუცელზე ხელს იჭერდა.

თამროს შერცხვა. შერცხვა და კიდევ გაიბუტა, იცოდა საბრალო გოგონამ, რომ ლექსო ჩვეულებრივ

მასხარათ აიგდებდა მას და მის პატროსან მეგობარს არა ერთხელ აცრემლებულა ამ დაცირვის გამო ჩვენი ცუგრუძელა. სძირათ, როცა ფისუას ჩაჭკოცნიდა, თან დახოლვებდა: „ვის რა უნდა, მე რომ ფისუას ვენაცვლებოდეთ!“ და ამ სიტყვებზე უმანკო ცრემლებს გადმოაფრქვევდა.

— ორ ფისუას ვახლავარ ოცდასუთი ჭაკი ცხენით! — სიცილ-სითსითით ჯორის ტლინკებივით მიაუარა გაბღვრილ თამროს ცელქმა ლექსომ.

— მე თუ ფისუა ვარ, შენ ხო ეეფია ხარ! — წაბუტბუტა ნიშნის მოგებით გაბუტულმა თამრომ და ფისუას ქოჩრის ფსანვა დაუწყო.

— ჩემს ეეფიას შემოვევლე! — აღტაცებით შეჭკივლა ლექსომ და შავთვალა, ბანჯღვლიანი ლეკვი კი სერში ჩაისუტა.

ლეკვი წკბუტუნებდა და სანგამოშვებით „ეეფ, ეეფ“ — სვც იძახოდა.

თამრო წარბ ქვეშ უჭვრეტდა ლექსოს და სიბრაზისაგან ლოყებზე ალი ეკიდებოდა.

— ჩემს ეეფიას ენაცვალოს ეველა, ვინც უნდა იუოს! — გაიძახოდა მსიარული ლექსო და ეეფიას მადლა ასტუნებდა.

— ამის ერთი ვაჰკაცური შეეეფვა ფისუას კნავილს ოცჯორ იუიდის და გაჭეიდის, სად ამის „ეეფ, ეეფ“ და სად იმის უმნო „მიიიააუუ“ — ჰირი გძლათ დაადო ლექსომ და უმნოთ, უღაზათოთ დაიკნავლა.

აივანზე დაცუცქულ თამროს მძის მოუხეშავი,



უადგილო დაცინვა გულს უკლავდა და საბრლო მწარეთ სლოკინებდა. ფისუა გაკვირვებით თვალებს აცეცებდა, უურებს სცქვეტდა, არ იცოდა ვინ კნაგოდა.

II

არაგინ იცის, რატომ შეიევარა თამრომ ფისუა და ლექსომ ეეფია. არც ჰატარა ცელქებს შემძლეთ ამის ასსნა. თამროს რო კითხამდით ასე გეტეოდით „მე ფისუა მიევარსო“, ლექსო ასე გაიძასოდა: „ეეფიას ვენაცვალეო“.

ან რა საკითხია, თუ რათ შეუევარდა ორ ჰატარა ცელქს ორი ჰატარა ცელქი.

მოსდა ისე, რომ დიდ ოჯახში, სადაც თამრო და ლექსო იზრდებოდნენ, შავთვალა კატას ფისუა ეეოლა, მურა ძაღლს-კი—ეეფია. ბავშვებაც შეიევარეს ეს ორი ახლათ შობილი არსება.

ფისუა და თამრო ერთად დამშობილდნენ, ეეფია და ლექსო ცალკე ერთად.

ფისუა და ეეფია სრულ ბედნიერათ სთვლიდნენ თავს. ასეთ ფუფუნებასა და ნებივრობაში იმეოფებოდნენ, რომ უკეთესს ვინ ინატრებდა!

თამრო და ლექსო თვალის ჩინივით უვლიდნენ ჰაწია მეგობრებს. ფისუა—თამროს ჯამში ილუკებოდა, ეეფია—ლექსოს ჯამში. რმე, თეთრი ფაფუკი ჰური, ფაფა და სსვა გემრიელი სალოკავი მუდამ ცხვირ წინ ედო ფისუას და ეეფიას.

ფისუას და ეეფიას ორი განსაკუთრებული ადგილი ჰქონდათ მიჩენილი: ბავშვების კისერი და თბილი ძეგრდი.

ან კისერში იევენ ჩახუტული, ან გულში. სწავ-
გან მათ იმჟიანათ ჭნახადით.

ბეგრჯერ უთქვამს ბავშვის დედას: ახლა სახლში
ორი ფისუა და ორი ეეფია შეავსო. და ეს სიტუა-
ცი ემაწვილების მგრძნობიარე გულში უზომო სისა-
რულს იწვევდა. მშობლების დაუვალება აღდგომის
წითელ კვერცხს ერჩივნათ.

ცელქებს სჯეროდათ, რომ მათ მეგობრებს ერთ-
მანეთისა ეველაფერი ესმოდათ. დიდიდან საღამომდი
განუწვევტილად ეტიკტიკებოდნენ ჰატარა ცხოველებს
ხან უმღეროდნენ კიდეც, ჭკვიანი ჰირუტყვებიც კარ-
გათ გრძნობდნენ, რა სასარგებლო იყო მათთვის მე-
გობრებთან ცხოვრება და ცდილობდნენ არ გაეჯახრე-
ბინათ ისინი.

თამრო ფისუას ეფერებოდა და ფისუა თამროს,
ლექსო ეეფიას ეფერებოდა და ეეფია ლექსოს.

აი, ესე ტკბილათ ატარებდნენ დროს, სანამ ფი-
სუა კატათ არ გასდა ეეფია—ძაღლათ.

რა იცოდნენ ცელქებმა, რომ კატა კატობას არ
მოიძლის და ძაღლი ძაღლობას.

ფისუას დედას მავთვალა კატას ვირთაგების ჭამა
ძალიან უუყარდა, რის გამოც თამრომ შეიძულა ის.
სამაგიეროთ მისი ჰაწია ცინდალი—ფისუა ისე შეიუ-
ვარა, რომ, ზოგიერთის თქმისა არ იუოს, თვალში
რო ჩავარდნოდა თითს არ მოისვამდა.

ეეფიას დედა მურა ძაღლი ისეთი ავი, ისეთი
ბრაზიანი იყო, რომ გადიზიანების დროს ქვასაც-კი
ულაჰავდა. უოველ მის ბოხის სმით დაუეფავსე ლექ-

სოს ააკანკალებდა და ტანში შიშის ჟრუნტელი და-
 უვლიდა სოღმე.

ლექსომ შეიჯავრა მურა ძაღლი, მაგრამ მისი
 ლექვი-უეფია სულში ჩაიძვრინა. ჭო და საიდან ეცო-
 დინებოდათ თამროს და ლექსოს, რომ მათი საუვა-
 რელი ფისუბა და უეფია მოკლე სანში შავთვალა კა-
 ტათ და მურა ძაღლათ გადაიქცეოდნენ.

კოეანდარი.

(შემდეგი იქნება)



რ თ ვ ე ლ ი.



ემოდგომის ძეგ ციმციმებს,
არეშარეს კიდევ ათობის...
შესე, როველი დაუწევიათ,
მუშა ხალხი როგორ ჭხარობს.

აგერ ქეთო, ჩვენი ქეთო,
როგორ უურძნის გრეფაშია?!
„ბუდეშურის“ მტევნებს არჩევს,
აწუობს საკრეფელაშია

ქეთო მამას ეუბნება:
„როდის წახვალ ქალაქშია?
თან გაგატან აკიდოებს
ჩემ დაძმასთან სკოლაშია.

კაპანი.



ქვერივი ხელმწიფე.



ყო და არა იყო რა, იყო
ერთი ქვერივი ხელმწიფე.
იმასა ჰქუენდა ერთი ქალი.
კარგა ხანი იყო გასული,
რაც ხელმწიფე დაქვერივდა,
მაგრამ არ ირთავდა მეორე
ცოლს, რადგან ქალი-შვი-
ლი ძლიერ უყვარდა და
ემიოდნა დედინაცვალს არ დაეჩაგრა. ქალი მოი-
ზარდა, მეფემ იფიქრა: ასლა ქალის დაჩაგვრას დე-
დინაცვალი აღარ იკისრებსო და მეორე ცოლი
ითხოვა. მეფეს დედოფალი უშვილო გამოადგა და
შვილის სიუხარული უფრო და უფრო ემატებოდა.
დედოფალმა ეს შეატყო მეფეს და დაიწყო ცსადივ
და ძალვით ქალის წარამარა შურის მიება. დღე და
ღამე დედოფალი სულ იმის ცდაში იყო, რომ რო-
გორმე და რამენაირათ უსიამოვნება მიეუენებინა ქა-
ლისათვის. მეფეს ეს დედოფლის საქციელი ძლიერ
სწყენდა და არ იცოდა როგორ და რა ნაირათ ეშვე-
ლა საქმისათვის. ქალმა კარგათ იცოდა, რომ იმისი
ტანჯვა დედინაცვლისაგან, სტანჯავდა მამას და
სძირათ არ იმჩნევდა მწუსარებას, რა არის მამას
არ ეწყინოსო. დედი ნაცვალს კიდე ამ გვარი ქა-

ლის ქცევა უფრო ცუცხლს უკიდებდა გულზე და უარესათ სტანჯავდა ქალს, ქალი მაინც ითმენდა. გაბრაზებულმა დედოფალმა მეტი ვეღარა მოახერხა, ადგა და ავათ-მოფოთა მოიგონა. დაწვა ლოგინათ და ვერა ექიმმა და მისანმა ვერა უძველეს-რა. შეწუსდა მეფე, ჰკითხავდა დედოფალს: რა გინდა და რა გეწამლებაო. დედოფალი არას უპასუხებდა მეფეს კითხვაზე და ეს უპასუხოება კიდევ აბრაზებდა მეფეს. საქმე იქამდის მივიდა, რომ მეფე შეიქმნა დიდი მწუსარე. მოვიდნენ ექიმები. სცნეს, რომ მეფეს ბოლმა შემოსწოლია და უნდა გზათ გაემგზავროს გულის გასაყოლებლათ, თორემ ამ ბოლმას ცუდი შედეგი მოჰყვებაო. ერთ დღეს მეფემ უბრძანა კარის კაცებს მოემზადებინათ სამგზავრო მატარებლები. კარის კაცებმაც მოამზადეს ვეელაფერი. მეფე გაემგზავრა გზათ, გაიცილა თუ არა დედოფალმა მეფე, უბრძანა მოსამსახურეებს: გაიევანეთ სელმწიფის ქალი ქალაქ გარეთ მოჰკალით და ნიშნათ ჩემი ბრძანების შესრულებისა, მოაჭერთ სელები გვამს და აქ მომიტანეთ, გვამი ზღვაში გადაადგეთო. მლიერ შეწუსდნენ მეფის მოსამსახურეები, ჯერ იმისთვის რომ ქალი იმათ თვალწინ გაიშარდა და არა ნაკლებ მეფისა იმათაც უუვარდათ და მეორე ვმინოდან სელმწიფისა, მაგრამ რა ექნათ, თუ ისინი დედოფლის ბრძანებას იმავე დღესვე არ შეასრულებდნენ, ვეელას თავის მოკვეთას ემოქრებოდა. შეუდგნენ მოსამსახურეები დედოფლის ბრძანების ასრულებას. გაიტყუილეს ქალი



ქალაქ გარეთ, მითამ და სასეირნოთ, მიიყვანეს
 ზღვის პირზე და იქ გამოუცხადეს დედინაცვლის
 ბრძანება. ბევრი იტირა ქალმა, ბევრი იტირეს და იცეს
 თაჲში მოსამსახურეებმაც, მაგრამ ქალს ვერას-გზით
 ვერა სცდებოდა სიკვდილი, რადგან ქალის სელები
 უნდა მიეტანათ დედოფლისთვის და დედოფალი ქალის
 სელებსა სცნობდა. ბოლოს ქალი შეევედრა მოსამ-
 სასურეებს: ნუ მომკლამთ, დამაჭერთ სელები და
 ისე ცოცხალი გადამაგდეთ ზღვაშიო. ეს თხოვნა ქა-
 ლისა ჭკვაში მოუვიდათ მოსამსახურეებს და თანაც,
 რომ წებლში არ დამსრჩვალყო ქალი გადასწვეიტეს
 გაეკეთებინათ კიდობანი, ჩაესვათ ქალი შიგ და ისე
 ჩაეგდოთ ზღვაში. გადასწვეიტეს მოსამსახურეებმა და
 კიდევ მოიყვანეს სისრულეში გადასწვეტილება. მოს-
 ჭრეს ქალს სელები, ჩასვეს კიდობანში და მისცეს
 წებლს. დიდხანს ატარა კიდობანი წებლმა და ბო-
 ლოს გარიჟა ზღვის გაღმა. რიეიდან ხმელეთამდის
 კიდევ კარგა მანძილი იყო და ქალი ვერა ჰბედავდა
 კიდობნიდან გამოსვლას. ასე, ამ გვარათ, დარჩა ქა-
 ლი კიდობანში რამდენიმე ხანს. ქალი შეწუნდა,
 მაგრამ შეეგლას არსაიდან ელოდა. ამ ზღვის ნაპირზე,
 ერთ მაღალ მთაზე, იდგა ეკლესია. ამ ეკლესიაში
 სცხოვრებდა წმიდანი-ბერი. წმიდანი ეოველ დილა-
 საღამოს დახოქილი ევედრებოდა ღმერთს. — საზრდოთ
 ღვთიდანა ჰქონდა მიცემული დღეში ერთი ჰური, რო-
 ძელსაც ეოველ დილას, ღოცვის შემდეგ, მოუტანდა
 ხოლმე ეორანი. ერთ დილაზე, როდესაც ჩვეულები-
 საძებრ წმიდანი ღოცულობდა და მუსლ მოდრეკილი

ვედრებოდა უფალს, უცბათ წმიდანმა მოჰკრა თვალი რაღაც სინათლეს, რომელიც სვეტის მზგავსათ წამოვიდა ციდან და დაეშვა ზღვის ჰორათ რიეზე. ბერი მიხვდა მაშინათვე, აქ რაღაცა ღვთის განცება უნდა იეოსო, აიღო ხელში ჯვარი და გაემკზავრა სინათლისკენ, მივიდა ზღვის ჰორზე, მიუახლოვდა სინათლეს, სინათლე ესვევა კიდობანს და კიდობანში ხედავს სელებ დაჭრილ მშვენიერ ქალს. გაემბანსა წმიდანი ქალს. ქალმა აახილა თვალები და ისევ დახუჭა. შეებრალა წმიდანს ქალი და არ იცის როგორ უშველოს. შემდეგ იფიქრა, რომ ალბათ უფალსა სურს, რომ იმისი შუამდგომლობით მოჰსედოს საჩუქარს, დაეცა მაშინათვე მუხლებზე და შევედრა. უფალმა შეისმინა წმიდანის ვედრება, ქალს გაუბთელდა სელები. ბერს ძლიერ გაეხარდა ჯერ ისა, რომ უფალმა შეისმინა იმისი ვედრება და შემდეგ ისა, რომ უშველა უწყალო საჩუქარს. გახარებულმა წმიდანმა ამოიყვანა ქალი კიდობნიდან და გამოიყვანა ზღვის ჰორზე, მიაწვინა იქვე გამოქვაბულში და თითონ სიხარულით გასწია თავის სადგომისკენ ჰურის მოსატანათ. შევიდა ბერი ეკლესიაში, სადაც ტრანეზე ეკულებოდა ჰური, ჰხედავს იქ ერთი ჰურის მაგიერ ორს, გადუსადა კიდევაც უფალს მადლობა, აიღო ჰური და გამოემუხრა ქალისკენ, აჭამა ქალს ჰური და მოიყვანა დონეზე. წმიდანმა გამოჰკითხა ქალს ვინაობა, ქალმა უამბო. გაუკეთა ბერმა ზღვის ჰორათ ქოხი, დააბინავა შიგ და ეოველ დღე უზიარებდა სასრდოს.

შემდეგ ქალის ზღვაში გადაგდებისა, სელმწიფის მო-



სამსახურეები მიბრუნდნენ დედოფალთან, მიაჩნდნენ, რომ
 ღის ხელები და უამბეს ეველათური რა ნაირათაც
 შეასრულეს იმისი ბრძანება, დედოფალმა დაასაჩუქრა
 მოსამსახურეები, მადლობა გადაუხადა და დაარბია,
 რომ სემწიფისთვის არაფერი გაემსილათ. ხელმწიფემ
 ბევრი იმგზავრა აქეთ, იქით და როდესაც იგზნო
 მოვარგება დაბრუნდა შინ. დედოფალი ძრიელ მოღ-
 სენით დაჭსვდა და უსამდურავა მეფეს ასე დაგვიანება.
 ხელმწიფემ მოიკითხა ეველანი, ესაბოვნა, რომ ევე-
 ლათური რიგზე და უვნებლივ დაჭსვდა. შემდეგ შე-
 ვიდა ქალის ოთახში შვილის სანახავათ. ჭხედავს,
 რომ ქალი არსად არის, ჭკითხა მოსამსახურეებს, ქა-
 ლი სად არიო, — არვიცითო, უპასუხეს მოსამსახურე-
 ებმა, ჭკითხა მეფემ დედოფალს, დედოფალმა უპასუ-
 ხა: რომ რასაც დღეს შენ წახველი მას აქეთ ქალი
 არსად არის, მე მეგონა თან წაიუვანეო. მეფე გაძ-
 წარდა სამინლათ და დადონდა, იფიქრა ალბათ ქალ-
 მა ვეღარ გაუძლო დედი-ნაცვლის ტანჯვა ვაებას
 და თავი მოიკლა სადმო. გაგზავნა კაცები საძებ-
 ნელათ და უბრძანა: სადაც იუოს, მკვდარი იქნება,
 თუ ცოცხალი ქალი უნდა მომგვაროთო. ადგენ მო-
 სამსახურეები და გაუდგენ გზას. დიდხნის სიარუ-
 ლის შემდეგ მიბრუნდნენ და მოახსენეს მეფეს, რომ
 ვერა გავიგეთ რაო. რაღა გაეწეობოდა მეფეს, დაიდგა
 გლოვის კარავი და ჭკლოვობდა შვილს.

კარგა ხანი ცსოვრობდა ხელმწიფის ქალი თა-
 ვის ქოსში, სშირათ გამოდიოდა ზღვის ზირზედ
 და იუურობდა იქით, საითაც ეკულებოდა თავისი საუვა-



რელი მამა, ფიქრობდა: დღეს იქნება, თუ სვალ, მამაჩემი მომაგნებს და მიპოვნისო. ერთ დილას ქალი, ჩვეულებისამებრ, დადიოდა ზღვის პირზე, უცბათ თვალი მიახერხა, რაღაც მოტივტივეს ზღვაზე, ხე იყო—არც სესა ჰგებანდა, სულიერი რამ იყო,— არც სულიერსა ჰგებანდა. ბოლოს ზღვამ გამორიგა ეს მოტივტივე საგანი, მივიდა ქალი ასლოს და სედავს გვამს, შეეშინდა და გაეშურა წმიდანისკენ, უამბო წმიდანს, წმიდანი მაშინათვე წამოვიდა ზღვისკენ. ნახა გვამი. გვამი ასალგაზრდა ემაწვილი კაცისა იყო და ემჩნევოდა სიცოცხლის ნიშან-წეალი. შეწუხდა ბერი და შეეცადა რითაც კი შეიძლებოდა ეშველა ემაწვილისათვის. დაიხმარა ქალიც. დიდის ცდის შემდეგ ბერმა მოასწორებდა ემაწვილი და გონ-ზედაც მოიგვანა. მოიკიდა ზურგზე და წაიღო თავის სადგურზე. ემაწვილი იქამდისინ მოვარგდა, რომ საჭმელი მოითხოვა, შევიდა ბერი ჰურის მოსატანათ და ჰხედავს ტრანჟესზე ორი ჰურის ნაცვლათ სამს. უარესათ გაესარდა ბერს, მადლობა გადუსადა უფალს და მიუტანა ემაწვილს ჰური, ემაწვილმა ჭამა ჰური და ისე მოკარგდა რომ ლაპარაკიც აღარ უმნელდებოდა. ბერმა გამოჰკითხა ვინაობა. ემაწვილმა უამბო. „მამაჩემი ზღვას იქით სელმწიფეა. იმას რაღაცა უთანხმოება მოუვიდა თავის მოსამზღვრე მეფესთან. ჩვენ—მე და მამაჩემი და რამდენიმე ათასი ჯარის კაცი ჩავსხედით ნაგებში და წამოვედით საომრათ მოქიშვე სელმწიფესთან. ჯერ არცკი შევტაკებოდით მტერს, რომ ნავი, რომელშიაც მე და მამაჩემი რამდენ-



ნიძე კაცით ვისხედით ზღვის ღელვამ გადააბრუნა—
 ჩვენ სუუველანი წებლში ჩაცვივდით და არ ვიცო
 შეძვეც რა მოჰსდა. მე კი, როგორცა ვხედავ, თქვენის
 წებლობით გადავრჩენილვარ სიკვდილს და არ ვიცო
 მამიჩემის თავს რაღა იქნება. მამაჩემს მარტო მე
 ვეყვარ და, თუ სადმე ჰიწმინდოდა სული უდგა მომნა-
 ხამსო. „ემაწვილმა გაათავა. ბერმა ავათმოუფ ემაწ-
 ვილს მისცა ბინა და ისევ შეუდგა ლოცვას, ქალიც
 წავიდა თავის ქოხში. ერთი დღეა ქალი დაბა-
 რებოდა ზღვის ჰიწმინდოდა, დაინახა ზღვის-ჰიწმინდოდა
 უშველებელი ნავი. ნავიდან გადმოვიდნენ რამდენიმე
 ჯარის კაცი და დაიწვეს ზღვის ჰიწმინდოდა რაღაც თვა-
 ლიერება და შეხსნა. ჯარის კაცებმა შენიშნეს ზღვის-
 ჰიწმინდოდა მოსიარულე ქალი. მივიდნენ ქალთან და
 ჰკითხეს ვინაობა და ისიც—სომ გვაში არა გამოუჩინ-
 ევს რა აქეთკენ ზღვასაო. ქალმა უამბო ნახოვანი გვაშის
 ამბავი და ისიც რომ ის არის ხელმწიფის შვილი,
 ბერმა და იმან მოაბრუნეს და ესლა ავათმოუფი ბერ-
 თან ეკლესიაში წევსო. ჯარის კაცებს ძრეილ გაუ-
 ხარდათ ეს ამბავი, წავიდნენ და მოახსენეს მეფეს,
 რომელიც ამდროს დაღონებული იჯდა ნავში და
 ელოდებოდა ჯარის კაცებს. ხელმწიფე სინხარულით
 გამოემურა ქალისკენ და გამოჰკითხა დაწვრილებით
 ავათმოუფი ემაწვილის ამბავი. ქალმა უამბო. მეფე
 სინხარულით გადაესვია ქალს და გადაკოცნა. ქალი
 გაუძღვა მეფეს და მიიუვანა ემაწვილთან, რომელსაც
 ამ დროს უჯდა ბერი თავით და ართობდა. მეფემ და-
 ინახა თუ არა ემაწვილი მიჰქარდა და ჩაიკრა გულში.

უმჯავილი მეფის დაკარგული შვილი გამოდგა. ბევრი გაეცნო მეფეს და გამოჰკითხა როგორ და რაზედ მოუხდა იმას ეს საშინელი შეტაკება, სადაც ცოტას გასწუდა არ დაედუხა ერთათ ერთი შვილი. მეფემ დაიწყო: „მე ზღვას იქით სმელეთის მეფე ვარ. ჩემს მოსამზღვრეთ სცხოვრობს სხვა მეფე. კარგა ხანია მე და ჩემ მოსამზღვრეს აკვიტუდა დავა ერთ სამოვარ მინდორზე. ბევრი ვიღავეთ, ბევრი სისხლი შევასხით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენს დავას ვერ მოეღო ბოლო. ბოლოს სამუხაყაოთ გაგვიხდა საქმე. შუა-კაცებმა ესე გადაგვიწუვიტეს! რომელი მხარეც ჩვენ-განი უძეოთ დარჩებოდა, იმ მხარეს სელი უნდა აედო სადავო მამულზე. ჩემ მოსამზღვრეს ერთი ქალი ჰქუანდა. ის ქალი დაეკარგა უძეოთ და მე თანახმათ მედიტორების გადაწვევტილებისა მოვთხოვე სელი აედო მამულზე. იმან არა ქნა და ამასე შეგვექნა უთანხმოება, რომელმაც გამოიწვია აგერ ეს ჩვენი შეტაკება. შევიტაკენით და ღვითთ გამარჯვება მე დამრჩა. ის მეფე დავატევევ და აგერ აქ ნავში მუავს, მაგრამ შვილის დაკარგვა ცეცხლს მიღებდა, რადგან მეც ერთათ ერთი შვილის ჰატრონი ვარო“. მეფემ გაათავა. ამ ამბავს სელმწიფის ქალი ეურს უგდებდა და რამდენჯერმეც ნეკში იკბინა, მამაჩემი სო არ იქნებაო, მაგრამ მაშინ კი როდესაც სელმწიფემა თქვა, რომ მეფე დავამწუდიე და აგერ აქ ნავში მუავსო, ქალმა ვეღარ მოითმინა და სთხოვა მეფეს ყჩვენებინა იმისთვის ტევე მეფე. მეფემ დიდი სიამოვნებით შეუსრულა ქალს თხოვნა და წაიუვანა



ქალი. მეფემ ჰირველმა შეაღო კარი ტევე მეფეს-
 თან, შეჭევა ქალიც. ქალმა შეჭსედა თუ არა ტევე-მე-
 ფეს, შეჭკივლა და გაექანა იმისკენ, ქალი გადაეხვია
 მამას. გამარჯვებული მეფე მიჭსედა, რომ ეს ქალი
 იყო იმისი ტევე-მეფის ქალი, რომლის დაკარგვის
 შემდეგაც დაიწყო ამან დავა მამულისა და ისიც
 კარგათ იცოდა, რომ ესევე ქალი იყო იმისი ერთად
 ერთი შვილის სიკვდილის გადამრჩენი. მაშინათვე
 უბრძანა გაენთავისუფლებინათ სელმწიფე: ეს ამბავი
 გაიგეს წმიდანმაც და სელმწიფის ვაჟმაც. წმიდანმა
 დალოცა ორივე მეფეები თავისი შვილებით, შეარ-
 ცა და ბოლოს კიდევ დაამოუწრა. ჩვენი ქვრივი
 სელმწიფის ქალი უცხოთ სელმწიფის ვაჟმა შეირთო და
 ამ ჩვენმა ნაცნობმა ბერმა ჯვარიც დასწერა. მეფე-
 ებმა გადუსადეს წმიდანს დიდი მადლობა შვილების
 გადარჩენისათვის და დაბრუნდენ თავთავიანთ სასელმ-
 წიფოში. ორივემ დიდი ქორწილი გადუსადეს შვი-
 ლებს და შემდეგ სცხოვრებდენ მშვიდობით და ბედ-
 ნიერათ. ქალმა უამბო მამას როგორც დედინაც-
 ვალმა უბრძანა მოსამსახურეებს მისი მოკვლა,
 შემდეგ იმისი გზათ წასვლისა და რაც გადაეხდა
 თავს იმ დღემდინ, როდესაც ის შევიდა იმის სანა-
 ხავათ, როდესაც დატევევებული იმყოფებოდა გემში
 და სთხოვა მამას სამაგიერო არ გადაეხადნა დედი-
 ნაცვლისათვის, მეფემ შეუსრულა შვილს თხოვნა,

შაკრამ დედი-ნაცვალმა ველარ იცოცხლა დიდხანს.
 ის დარდსე და ბოლმით გარდაიცვალა.. ჭირი იქა,
 ლსინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა. ესე ჩემო ზა-
 ტარა მეგობრებო, ამ ხელათ ეს იკმარეთ და მეორე
 ხელათ სსვა იქნება. თქვენი მეგობარი

გ. დ. ჭრელაშვილი.



ვანო და ბალი.

(იკავ-არაიკი)



რთს ეზოში იდგა ერთი
დაკუნწლული ალუბალი,
გარს ბავშვები ესვოდენ,
მასზე ჰქონდა ეველას თვალი;

მათში ვანოს ერთს შესწევდა
ზედ გასვლისა ღონე, ძალი,
(რადგანაც რომ ალუბალი
იყო წვრილი, ტან-მაღალი).

და ვანომაც ალუბალზე
შესტა ცქვიტათ, ტანის რხევით,
მწიფე იყო კანწეროში
და აცოცდა ისიც ზევით;

ქვეშ კი ბავშვებს გულმა ტკბილათ
უწეო ძგერა და ფანცქალი,
იმედობდენ, რომ იმათაც
ერგებოდა ალუბალი;

დასტუნავდენ, თან ხელები
ეველამ ძაღლა აიშვირა,
რომ ზევდიან წამოსული
ალუბალი დაეჭირა...

მაგრამ შეცდენ: ფლიდი ვანო
თითონ სჭამდა, რასაც ჰკრეუდა,
და ვინც სთხოვდა ალუბალსა,
თავზე გადმოაფურთხებდა.

ბოლოს გაძლა ღორმუცელა
და ჩამოჭევა ქვევით ნელა,
დახე?! მისი განაფურთხი
გზაზე დახვდა მას სულ-უველა:

ალუბალის სშირ ფოთლებსა
ქვეშ ერთიც ვერ გაეპარა,
და ცუდლუტი ჩვენი ვანო
თვითონვე შიგ გაიხარა.


ცხოვრებაში მაღლა წასვლა
როდის სვდება ეველას წილათ,
ვისაც ბედი აღამაღლებს
სჯობს ეჭიროს თავი ფრთხილათ;

ჩვენშიც არის მაგალითი:
რომელიმე ამაღლდება,
მაგრამ ძმები—დაბლა მეოფნი,
უცებ ეველა ავიწელება,

თუ რამ სთხოვე, გწამდეს ზიზლით,
ფურთხით გაგიმასპინძლდება,
ასეთს ჰირებს ამას ვეტყვი,
თუმც არა სწამთ დამარცხება,

სშირად მალა-მალა წასვლას
 მოსდევს თავქვეც დანარცხება,
 რაც მალლიდან დაგიტესავს,
 მაშინ ეველა ძირს დაგვსდება.

ი. სიხარულიძე.



კოწო და მისი ნაცნობები

(შემდეგი)

ვ ე ფ ხ ი



ილიდანვე წვიმდა და კოწო ვერ ისეირნებდა.

მან ჩამოიღო თაროდან ნასატებიანი დიდი წიგნი და მოჭევა შინჯვას; კოწოს ძალიან უეუარდა ეს წიგნი. შიგ სსვა და სსვა ჰირუტეუები იყო დასატული. ზოგს იცნობდა, ზოგს კი არა.

— დედილო, გაიძასა კოწომ, როდესაც მისი დედა ოთახში შემოვიდა, — დახე ერთი რა მშვენიერი სატაური კატაა...

— ხო, უთხრა დედამ, კატის ჯიშის ჰირუტეუია. ეგ დიდი კატა-ვეფსია...

— მართლა, ეგ ვეფსია! წამოიძასა კოწომ. — რა ნაირათ ჭეპავს ჩემ ღრუტუნას. მხოლოდ ამას ჰირი



სასეზე ბაკენბარდები აქვს. დინგიც მრისხანე და აწი. თათები სომ რაღა! შესედე ერთი, დედილო რა სქელი თათები აქვს. მომიეფვი რაც იცი ვეფხზე.

— კარგი, ასლავე, უთხრა დედა. დაიბანა ხელები, მოიხსნა წინ საფარი და ჩაჯდა თავის საუვარელ სავარძელში.

გოწომაც მოიკალათა მის ფეხთან, შიგ თვალებში დაუწყო ეურება, სმენათ გადაიქცა.

დედა ასე მოჭევა:

— „შორს, ძალიან შორს ჩვენგან, აღმოსავლეთით, იმ მხარეს, საიდანაც მზე ამოდის, ერთი ნაწილია დედა-მიწისა, რომელსაც ემასიან აზიას. ამ დედა-მიწის ერთ ნაწილზე ისე ცივა, რომ ზაფხულშიაც კი არ დნება თოვლი. სამთარში ორი თვის განმავლობაში მზეს ვერა ნახავს კაცი, მუდამ ბნელა. მაგრამ ამ ქვეყნის მეორე მხარეს კი ისეთივე ზაფხული და სამთარია როგორც ჩვენში. სწორეთ ამ ცივ ქვეყნების იქით არის საუცხოვო ცხელი ქვეყანა-ინდოეთი. იქ სრულებით არ იცის ზამთარი თოვლით და ქარბუქით, მუდამ ცხოველი მზე ანათებს და არე-მარეს ძალზე ათბობს. იქ მდინარეების ნაპირას და ვაკე ადგილებში დიდ ძალი ლერწამი მოდის და ბალახი ადამიანის სიმაღლის ოდენაა. აი სწორეთ ამ ვაკე-ჭაობიან ლერწმით სავსე ადგილებში უუვართ დაბინაჟება ამ დიდ კატებს. ვეფხს რომ მოსდომებოდა სეირნობა ჩვენ ამწვანებულ მინდვრებ-ტყეებში, მაშინ ძალიან ადვილათ შევამჩნევდით მის ღია და აჭრელეულ ბალახს და კაი დღეს არ დავაუენებდით. მაგრამ ინდოეთის

ჭაობის ლერწამი ვეითელი ფერისაა, როგორც ვეფხის ბალანი. იქაური ბალანი და ევაზილებიც ჭრელია და ვეფხი ძალიან ადვილათ იმალება შიგ. ვეფხი ისე მიწვება, ისე მიიმალება ხშირ ლერწმის შამბში, რომ მონადირე და თუნდ ჰირუტევი რომ გაივლიან მის წინ, ვერც კი შეამჩნევენ მას.

ვეფხი ძალიან ძალაღი ტანისაა. უკანა ფეხებზე რომ დადგეს კაცზე ძალაღი იქნება. ძალიან ღონიერი ჰირუტევიან. თავისი ერთი ტოტის დარტყმით შეუძლიან წააქციოს რომელიმე დიდი ჰირუტევი: აქლემი, ხარი და სხვა. კბილები ძალიან მაგარი და ბასრი აქვს, მაგრამ ეველასე საშიში იარაღი მისი არის ბრჭყალები. ისეთი გრძელი და წვეტიანი, რომ ერთბაშად ჰირუტევის სხეულში უსობს.

ვეფხს არ ეშინიან არც ნადირისა და არც ადამიანისა, მხოლოდ ცეცხლს არ ეწეობიან, ეჯავრებათ. ამიტომ ადგილობრივი მცხოვრებლები, სადაც ისინი ბინადრობენ, იმათ დასაფთხობათ ღამ ღამეობით ანთებენ ცეცხლს. მაგრამ თუ ვეფხი მძიერია, დიდი ხნის უჭმელი, მას ცეცხლიც არ აშინებს. გადალახავს ცეცხლს, მივარდება განურჩევლათ ჰირუტევი იქნება თუ კაცი—ერთ წამს დაახრჩობს და ტყეში გაიტაცებს. იგი ისეთი ღონიერია რომ დიდ ხარხაც მოიტაცებს და სწრაფლ გაჰკურცხლავს. აი რა საშიში ნადირია ვეფხი და ამიტომ მოსაკლავათ არ ინდობენ. მისი მოკვლა კი აგრე ადვილი არ არის.

ინდოეთში, სადაც ბევრი ტყიანი და ჭაობიანი ადგილებია აუარებელი გარეული მსეცები ბინადრობენ

როგორც მტაცებელნი, ისეც ვინც ბალახით იკვებება. მაგალითათ: ცხენი, სარი, ცხვარი, აქლემი და კიდევ სხვა ბევრი და სწორეთ ამ საბრალო, უმწეო ზირუტეებს ემტერებიან და მათზე სოლმე ნადირობს და თარეშობს ვეფხი. საღამ-საღამოობით დიდი ჯოგი ზირუტეებისა, რომელნიც დღითი ბალახს სძოვენ ველ-მინდორში ჩადიან წელის დასახლევათ სოლმე მდინარეზე და წყაროზე. თითქმის ეოველთვის იგინი წელის დასახლევათ ერთი და იგივე გზით მიდიან და ბილიკი აქვთ გაქელილი.



ვერაგი და გამჭრიახი ვეფხი მონახამს სოლმე ამ ბილიკს და, მასლობლათ სშირ ბუნებებში ან ლერწმებში ჩასაფრდება. იგი არ მოჩანს, მისი ბალახნის ფერი ბინდისას სრულებით მიეკვანება ლერწმის ფერს. წუნარათ წევს ვეფხი, არ იძვრის, სუნთქვაც კი რა არის-ისიც არ ისმის. იტევით, ნამდვილი დიდი კატაა. თვალებსაც კი იმისავით ბეუტავს,

რომ მისმა ელვარებამ ჯოგის ბელადი არ დააფთხო-
ხოს.

მზე ჩავიდა. უკანასკნელი სსივები მიეფარა მთებს. სიბნელემ დედა—მიწა მოიცვა. ბნელა ჭაობში, მაგრამ ვეფხი ბნელაშიც კარგათ სედავს., რა საჭიროა დანახვა. მას მშვენივრათ ესმის ჯოგის მოახლოება. აი ანთილოფის ჯოგი მორბის ფრთხილათ, მაგრამ სიჩქარით—იგინი უახლოვდებიან წუალს. უცებ შედგა ფეხის სმა. გამოცდილი ბელადი ენოსავს ჭაერს, სომ საშიში რამე არ მოეღისთ. მაგრამ ვეფხი დიდი გაიძვერა. ის ისე გაწოლილია, რომ ქარს მისკენ მოაქვს სმაურობა და არა იმი-
საგან, ჯოგისკენ. ბელადი რასაკვირველია ვერ გაი-
გებს მის ჩასაფრებას და ვერ მისცემს თავისიანებს გაგცევის ნიშანს. იგი ვერ უკებს ეშმაკობას, ჭკონია რომ არსაიდან არ მოეღით შიში. ბელადი ნელა-
ნელა უახლოვდება წუალს, მას მთელი ჯოგი მოს-
დევს. თვალის დასაძახებამდე ვეფხი ერთი ნახტომით მივარდება რომელიმე დიდ ანტილოფს, მძლავრათ ტოტს კისერში ჩაარტეპს და თავის ბასრ კბილებს ჩაურჭობს: შესაბრაღისი ევირილით ეს მშვიდი ცხო-
ველი ეცემა შირს. მთელი ჯოგი კი სარდაცემული ბქეთ იქით იფანტება და სწრაფლ გარბის. ვეფხი კი სვამს თავის მსხვერპლის თბილ სისხლს. მერე წაათრევს სოლმე სადმე შორს, სშირ ლერწმებში და იქ შეექცევა.

ვეფხი მარტო გარეულ ცხოველებს კი არ დაე-
ცემა, იგი შინაურ ჰირუტეების მტერიცაა, თუ ჩაიგ-

დებს მწუქეს-იმასაც კაი დღეს არ დააყენებს. სძირათ მკსავრებსაც უდარაჯებს, ერთ წამს გამოვარდება თავის ფარულიდან, ფიცხლავ დაეცემა ვინმე კაცს და სანამ ის გონზე მოვა გააქანებს თავის ბუნავში. რასაკვირველია რომ ადგილობრივი ხალხი ყოველ ღონის ძიებას სძარბს, რომ ვეფხები გაწევიტოს, ამიტომ მის დასადუშათ სსვა და სსვა ღონეს იგონებს.

ინდოეთში დიდხანს ცხოვრობდა ერთი ოფიცერი გვარათ რაისი. ის იყო ძალიან გულადი მონადირე და თავის სიცოცხლეში სამოც და რვა ვეფხი მოჭკა ლა. ერთხელ მას და მის მეგობარს ელლიოტს ვეფხსე ნადირობის დროს შემდეგი ამბავი გადახდა თავს. რაისი მარტო არ დაიარებოდა სანადიროთ, მეტადრე მაგისტანანა სჰინელ ნადირზე. ასე მოაწუობდენ ნადირობას: წინ მიუძღოდათ შიკარი, ესე იგი ის კაცი, რომელსაც შეეძლო ადვილათ ეპოვნა ვეფხის ნაფესური. კვალი მას მიჭეუვდა მონადირენი. გვერდით მისდევდა ელლიოტი და რაისი. მერე მიჭეუვებოდათ თოფებით სანდო კაცები. შემდეგ მისდევდენ მუსიკის დამკვრელები. ისინი დოლ-ნალარაზე უკრავდენ, საუვირს აღრიბლებდენ და ზურნას აჭიჭეინებდენ, ერთი სიტყვით ცდილობდენ, რაც შეიძლება დიდი სძაურობა აეტეხნათ ნადირის შესაძინებლათ. ისინი არ იუვენ შეიარაღებულნი, რადგან კარგათ იცოდენ, რომ ვეფხი თავის დღეში არ მივარდება ისეთ კაცებს, რომელნიც ასე სძაურობენ. ეველასე უკან მიდიოდენ ისეთი კაცები, რომელნიც ლერწმებში ქვებს ისრო-

დენ ვეფხის გარეთ გამოსაგდებათ, რადგან ლერწ-
მებში ნადირის შემწევა ძნელი იყო. ის ისე უძრავ
ვით წევს სოლმე, შესაძლოა გვერდზედაც გაუაროთ.
ზედაც წაწუდეთ, თუძცა ეს ძალიან საშიშია. მაშინ
ვეფხს შეუძლიან, სანამ მონადირე თოფს მოიძარ-
ჯვებს დაეცეს მას. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა ბუ-
ნაგიდან ვეფხის გაძიება. ამიტომაც არის, რომ ას-
ტეხენ ამისთანა სმაურობას, ამ სმაურობაზე ვეფხი
შეშინდება და თავის საფარიდან გამოდის, მაშინ ადვი-
ლათ შეიძლება თოფი ესროლონ. ვეფხი ახლა მართლაც
გამოვიდა და გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც რაი-
სი და ელლიოტი იყვნენ. მათ მოიძარათეს თოფები
გასასროლათ. მაგრამ ვეფხი რაღაზედაც შეშინდა და
გვერდზე გასტა. რაისმა მაინც მოასწრო თოფის გას-
როლა, ვეფხს მოხვდა კიდეც. მაგრამ ოდნავ დასჭრა.
ვეფხი გაიქცა, მონადირეები უკან გამოუდგნენ, მათ
დაავიწყდათ შიში, საფრთხილე და ამსანაგ — მონადი-
რეებს კარგა მანძილზე გასცილდნენ. უცბათ, სრულე-
ბით მოულოდნელათ სმირ ბუქიდან მოისმა სასტიკი
კი ღრიალი და დაჭრილი ვეფხი რაისს მივარდა. ამან
თოფი შიგ თავში ესროლა, მაგრამ ტყვია არ მოხვდა,
ვეფხმა მოასწრო და განზე გასტა. მეორე ერთი ნახტო-
მით მივარდა ელლიოტს, აიტაცა მალა და თავისი
მსხვერპლი გააქცია. რაისი გამოუდგა ნადირს, თოფს
ასლიდა, მაგრამ ვეფხი სწრაფათ გარბოდა და თან უბუ-
ღურელლიოტს მიათრევდა. ბოლოს რაისი მოეწია
ვეფხს, ჩაიგდო მარჯვე წაძი, გაისროლა და შიგ თავში
მოახვედრა. ვეფხი ზედ ელლიოტზე დაეცა, ხოლო თო-



ფის მეორე გასროლაზე რხისმა მოჭკლა ვეფხი. ამ-
 ხანაგები მოეშველენ და საბრალო ელლიოტი ცოც-
 ხალ-მკვდარი გამოათრეს ვეფხის ქვემიდან. ბედზე
 ვეფხს ვერ მოესწრო ელლიოტის მოკვლა. ელლიოტ-
 მა თავი გადირჩინა თავისი თოფით, რომელიც თავ-
 ზე მიედო და ვეფხს მისი თავის მაგიერათ თოფი
 გადაეტყეს. უბედურს ისეთი ჭრილობები ჰქონდა,
 რომ დიდხანს ავადმოეფოებდა. ბოლოს მორჩა, მაგ-
 რამ კი სამუდამოთ დაკოჭლდა. იმ ხალხმა, რო-
 ძელთაც არა აქვთ თოფები და მხოლოდ შუბებს და
 მშვილდ-ისრებს სმარობენ და არც ნადირობის მოწ-
 უობა იცინან, მოიგონეს ერთი უცნაური და სასადა-
 ლო საშუალება ვეფხის დასაღუპათ. ისინი ჰოულო-
 ბენ იმ ადგილებს, სადაც ვეფხები სძირათ დაიარე-
 ბიან და ჰყენენ წებო წასმულ გამხმარ ფოთლებს.
 ვეფხი იმ ადგილებში გავლის დროს სედავს, რომ
 ფოთლები მის ფეხებს ეკვრებიან. ცდილობს მოიშო-
 როს, ეველაფერი აძაობა. ფოთლები მაგრათ არის მიკრუ-
 ლი. ფეხს ფეხზე უსვამს, კბილებით ცდილობს მოიშო-
 როს. მაგრამ ფოთლები დინკსედაც ეკვრება, თვალებში
 და ეურებში უცვინდება. ვეფხი გაშმაგებული მიწაზე
 ვარტყება, გორაობს, ტრიალებს, ვერ მიძვდარა, რომ
 უარესია, ქვეშ წებოიანი ფოთლებია, უბედური მთლათ
 ფოთლებში ესვევა. ველარც რამეს სედავს და ველარც
 რამე ესმის. მოჭკვება საშინლათ ღრიალს, მაშინ მო-
 ნადირე მივარდება და ზღვილათ ჰკლამს მას.

ვეფხი მეტათ ბოროტია, მაგრამ დედა ვეფხს თა-
 ვისი შვილები ძალიან უყვარს. მათი შვილები სა-



ზოგადოთ სუსტები იბადებიან და ჩვენ კატეგორიულად ვატყობთ, რომ ისინი არიან. ზოგჯერ დღეებში დედა-ვეფხვი არა მხოლოდ მათ, საზოგადოებას მამა-ვეფხვი უშიდავს. ზატარები ძალიან ღამაშები და მოსიუხარულე ცხოველები არიან. ივინი ისე თამაშობენ და ცელებენ, რომ გორც ჩვენი კატები, დედა გვერდით უხის სოლმე და შექნარის.

ზოგჯერ მონადირე ბუჩქებში ზოულობს ვეფხვის ბუნავს. როდესაც დედა ვეფხვი სანადიროთ წაუა და შეილებს მარტო მიატოვებს, მაშინვე მონადირე წამოასხამს სოლმე მის შეილებს. როდესაც დედა-ვეფხვი დაბრუნდება და შეილები არ დაუხვდება—მოკვდება ძეხნას, საშინლათ ღმუხის, ადამიანის ბინამდისა და კი მიაღწევს და იშვიათათ თუ მოხდება, რომ ვერ იზოვოს. თუ მოხერხდა ზატარა ვეფხვების დამალვა ისე, რომ არ იზოვონ, მაშინ მათ გამოზრდიან, ევროპაში მიჰყავთ და იქ სამსეცეში ჰყედიან, რომ მერე მსურველთ ფულით უჩვენონ.

გაწვრთნილი ვეფხვები ძალე შინაურებიან, ცნობილობენ თავიანთ ზატრონს, მაგრამ მაინც სანდონი არ არიან. შესაძლოა აღმოფოთების დროს მივარდენ თავიანთ ზატრონს. ამიტომ მოზრდილ ვეფხვებს, თუნდ შეჩვეულებს, არ ინახავენ თავისუფლათ. ივინი მაგრათ ჩაკეტილი ჰყავთ რკინის გალიებში.

(შედეგო იქნება)



ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი არველაძისაგან)

მეფეს ხმალი, ვაჟარს ფული.

სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.

ხარს რქით აბამენ და კაცს ენით.

ერთხელ შერჩა მელოსო, აპირებდა კბენასო.

გამოცანები.

(წარმოდგენილი ალ. იასალაშვილისაგან)

ხელმწიფეა რკინისა, ტახტი აქვს ქვისა,
მოსამართლეა წვიმისა და მზისა.

მატლი აცოცდა ხეზედა, ტკბილი საჭმლითა დამტკბარი;
იქ ღმერთმა სახლი აუგო, არც ფანჯარა აქვს, არც კარი.

მიდის, მიდის მირაკრაკებს, დადგება და გაიშლება.

ჩაბრა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი გ. პრელაშვილისაგან)

ეგ შენი ნალობანდ-ნულობანდი,
შენ თუ გენალობანდ-ნულობანდება,
თორემ მე არ მენალობანდ-ნულობანდება!

ხ ა ლ ხ უ რ ი.

(წარმოდგენილი ა. ხაბულიანისაგან)

ეო, მეო, ბერმა იწყინაო,
 ბერის ნაცვალმაო,
 ვის მიუწერაო;
 დავით მეფესაო,
 სახლში არ იყოვო:
 ქალაქს წასულაო,
 რას ჩამოიტანსო,
 ღოღოლათსაო.
 ვინ შეგიკერავსო,
 ჩემი მაიაო,
 შარშან მომკედარაო,
 წრეულს ტირიანო.
 შენი მაზლი დიაკონი,
 საყდრის უკან დგასო.
 ლალი მოუკრებია,
 ქურში ჩაუტენია,
 ქური ახივლებულა.
 ქალსა ვაჟი ყოლებია,
 მამას გახარებია;
 მამა აკვანზე წასულა,
 ბავში გაფშიკებია...

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ვანო ჭაჭინაძისაგან)

პატარა ფრინველის სახელი
 პირველი ნახევარია,
 სულ მთელათ ოთხი ასოა
 აქ მხოლოდ ორი კმარაო.
 მის მერმე ორი სიტყვაა
 ფრინველის სახელი პირველი



მსხვილი თავი აქვს, ღამე ფრენს,
 ტანადათ გასაკვირველი.

და ბოლოს სიტყვა ასოთი
 მხოლოდ ორითა ითქმება,
 ხარებს უტევებთ ამ სიტყვით,
 თუ რომ ჯიუტი იქნება.

სულ ყველა ერთათ თიხაა
 კომლისა გასადინები,
 ზოგიერთ უზნეოსათვის
 ის არი მოსალხინები.



გამოცანებისა: გუთანი, წიგნი, სიმინდი და წერო.

აკროსტიხისა: იცოცხლეთ ძია შიო!

შარადისა: ქართველი.





შე მოღგომა.



ამოხმა მდებლო, გატიტვლა არე,
ატირდა ქარი კაეშნით ვარე.

* *

მოღრუბლდა ზეცა, ქვითინებს ველი,
ინთხევა ყველგან ცრემლები მწველი.

* *

სისინებს ქარი, ყინავს და ცივა,
ხეებს ფოთლები კვნესითა ცვივა.

* *

შესწყდა ფრინველთა ჭიკჭიკი-სტვენა,
ვაჰქრა სიცოცხლე, მოისპო ლხენა.

იპო ჯინორიძე.





ქართული
წიგლისათვის

შემოდგომის სურათი.



შემოდგომის საამური დილა იყო, მზე დიდ მანძილზე დაშორებოდა ჰორიზონტს და ამიტომ საკმაო

სხივებს აწვდიდა თავის სამეფოს. მზის სასიამოვნო სხივებს ნაჩვევი არსებანი ისეთი ფოთქინით ეგებებოდნენ სისოცხლის მომცემელს, როგორც აკვანში ჩაკრული მშიერი ბავშვი რძით სავსე დედის ძუძუს. ზოგი გულში იხუტებდა, ზოგი ფერხთ ეგებოდა, ზოგი ყლაპავდა, რიგი უგალობდა, რიგი კოცნიდა და რიგიც შორიდან ეალერსებოდა.

„მადლობა ღმერთს, მეღირსა სიცოცხისგან ზურგ დამწვარს გათბობა“, ჩაილაპარაკა რიყის კენჭმა. „ჩემი გათბობა მხოლოდ ქვეყნის მაცოცხლებელს შეუძლია, საღამომდი ისე გავხურდები, როგორც ფოლადის ნატეხი ქურაში“. სთქვა და მოიკალათა მახლობელ მდინარის ნაპირზე. მზის სხივებმა მდინარის ძირამდინაც ჩააღწია. თევზებმა კუდის ქნევით მდინარეში ნაფარლობა იწყეს, ნაპირს მიუახლოვდნენ.

—მზის სხივიც კარგია, მაგრამ საშიშიც არი, ფიქრობდნენ თევზები. რამდენი მტერი გვყავს, ან ფრთოსანი გაჩნდება და ან ცხენოსანი. უნდა დავიმალოთ, მეტი ჯანი არ არის. სთქვეს და მდინარისგან ნაპირზე მოგროვილ სილას მიაშურეს დასამალავათ, ამ ფაციფუცში ვერც კი შეამჩნიეს ამაყათ სილაზე მწოლარე პატარა კენჭი, რომელიც მზეზე ეფიცებოდა, შემოჰკრა ერთმა მათგანმა ღონიერი ბოლო და ჩვენი რიყის კენჭი მდინარეში ჩაუძახა. — ოხ! თქვენ უგულოებო! თქვენი სიამოვნებისთვის მე საცოდავი გამაუბედურეთ, ღმერთს რაღას ეტყვით! ეს თქვა თუ არა რამდენჯერმე გადაკოტრიალდა, ჩიყურყუმალა და ჩქეფს მიაშურა. ჩქეფმა შეახტუნ-შემოახტუნა

და მალე გაისტუმრა ჩენი კენჭი ძირისკენ. „სად გავთიო ლამე! რა მეშველება მე საცოდავს, ამდენი კოტრიალით თავს ბრუ მეხვევა, მეტი გზა არ არი, უნდა მივმართო მეგობრებს, ეგებ ბინა მომცენ და მომისვენონ. ერთი შეხტა გადაკოტრიალდა და ერთი კენჭით სავსე ორმოში ჩაეშვა, მაგრამ შეხედეთ მის გაკვირებას? ისე რბილათ დაეცა, ერთი ჭახანიც არ მოუღენია.

— აი, შე საძაგელო უსულო, უგრძნობო არსება, მაწანწალა, მოუსვენარო, რა დაგიშავე ამის ფასი, რომ შენი ერთი წუთის სიამოვნებისთვის, ავათყოფს თავი გამიტხენ? აყიყინდა ბაყაყი. — შენისთანა უგულოებმა გადიტანა ქვეყანა, თქვე საძაგელებო თქვენა, ცხარობდა ბაყაყი. ამ ყიყინით ნაპირს მოაშუა რა, ისკუპა და ბალახებში ჩახტა, რომელიც მდინარის პირას ამოსულიყო. — ოხ, მტარვალო, შეუბრალებელო ჯალათო, ახლა წამოიძახა პეპელამ, — რას მერჩოდი უდანაშაულოს, დღე მოკლე არსებას, ვის რა წავუხდინე თქვენი ღვთის გულისთვის, შე ზითხიანო, რისთვის დამიზიანე ჩემი კობტა ფრთები? ერთი დღის სიცოცხლე რათ გამიმწარე, სული კი არ. უნდა ამოართვა სხვას შენი სიამოვნებისთვის. ხომ შიმშილი მომკლავს უდროოთ, ცხარობდა პეპელა, რომელიც დასასვენებლათ ჩაფრენილიყო ბალახებში და ფრთებს ისწორებდა. გულ ნატკენი აფრინდა იმ ბალახებიდან, დაეშვა ერთ პატარა ყვავილზე და წუწნა დაუწყა.

— ოხ! მიშველეთ, მაწამებენ საცოდავს, ერთი წუთის სიამოვნებისთვის მღუპავენ, მართმევენ სიმწრით ნაშოვნ სიცოცხლეს. ეს სთქვა თუ არა ნაზი ყვავილი საცოდავთ აქვითინდა, გადმოყარა მარგალიტის ცრემლები, რომელიც ცივი ტყვიასავით მიწას დაეცა. მიწა გამოეხმაურა და ჰკითხა.

— რა გატირებს ჩემო ნაზო ყვავილო?

როგორ თუ რა, ძლივს სულის ლაფვით ეჩურჩულებოდა შემოდგომის ყვავილი, — გამამწარეს, ვკვდები მე საცოდავი. სთქვა და კისერ მოწყვეტილი მიწაზე დაეცა და სული განუტევა.

— ჰოოო. მიაძახა მიწამ, მე გაგიძლეებით ყველას, ჩემს ცივ უბეში მოისვენებთ მხოლოდ და მხოლოდ.

მოხვია მას თავისი ცივი ხელები და ტანჯავაც გაქრა.

სადიკო.

ოქროს შეხება.

მეფე მილასის თავგადასავალი.

(დასასრული).



ას უნდოდა სიმარდით და სისწრაფით გამხდარიყო რამეს. სტაცა სულ ცხელ კარტოფილს, სწრაფათ პირთან მიიტანა, უნდოდა საჩქაროთ გადაეყლაპა, სანამ ოქროთ არ გადაქცეულიყო, მაგრამ უნებლიეთ მის ხელში ყველაფერი ოქროთ იქცეოდა ხოლმე. მან იგრძნო, რომ ცხელი ოქრო ახრჩობს. დაიწყო ყვირილი, ხტომა, ფეხების ბრაზუნის შიშით და სიმწრით.

— მამა, საყვარელო მამავ! დაიყვირა მარიამ, — რა დაგე-მართა, პირი დაიწვი?

— ოჰ, ჩემო შვილო! დაიკენესა მილასამ: — რა დღეში ჩავარდა შენი უბედური მამა!

მართლაც რომ მეფის მდგომარეობა საშინელი იყო. მას წინ ედგა ძვირფასი საუზმე და სწორეთ იმიტომ, რომ ძვირფასი იყო — მისი შეკმა შეუძლებელი გახდა. ყველაზე ღარიბი მუშა, რომელსაც მხოლოდ ერთი ლუკმა პური და ერთი ჭიქა წყალი ჰქონდა ახლა მეფეზე ბედნიერი იყო, თუმცა ამისი ყოველი საკმელი წონა ოქროთ ღირდა.

რა უნდა ექნა? მას ეხლავე შიოდა და სადილობამდის რაღა ეშველებოდა? ან სადილს, ან ვახშამს როგორღა შესჭამდა? სიმშლით ხომ მოკვდებოდა! მისი სადილ-ვახშამი რასაკვირველია ამავე ოქროს საკმლებისა იქნებოდა. განა დიდხანს შეიძლებს ასე სიცოცხლე.



ამ გვარი აზრები მეფეს ძალიან აწუხებდნენ. ბოლოს იმ ფიქრამდის მივიდა, რომ შემცდარია თუ ჰგონია, რომ სიმდიდრე ერთად ერთი ბედნიერებაა ქვეყანაზე; ამ ფიქრმა მხოლოდ ერთ წამს გაუბრინა თავში. თვალწინ ბრწყინავდა მისი საყვარელი საუნჯე—აუარებელი ოქრო. როგორ გასცვლიდა ამ რაღაც უბრალო საუზმეზე. იგი როგორ უარჰყობდა იმ ბედნიერებას, რომელიც მისცემდა მილიონჯერ მილიონებს და რომლის დათვლაც მთელ საუკუნოების განმავლობაში შეუძლებელი იყო. განა შესაძლოა ყველა ეს გაიცვალოს შემწვარ თევზში, თოხლო კვერცხში, კარტოფილში და ერთ ფინჯან ყავაში. არა, არასოდეს.

მეფე მაინც ძლიერ შშიერი იყო, თავი ვერ შეეკავებინა და საცოდავად კენესოდა. ქალიშვილს ეცოდებოდა მამა და არ იცოდა როგორ ეშველა. შესცქეროდა სახეში და ცდილობდა შეეტყო მიზეზი. ბოლოს მიიზრინა მამასთან და სიყვარულით მოეხვია. უბედური მიდასი აქამდის ასე არ აფასებდა შვილის აღერსს. იგი ეხლა გრძნობდა რომ მისი სიყვარული ათასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე ასე უცნაურათ მიღებული სიმდიდრე. მან დაიხარა შვილისკენ და შუბლზე აკოცა.

— ჩემო ძვირფასო, თვალის ჩინო!

მარიამ არაფერი უბასუხა. დიდებავ! ეს რა მოხდა? რა საშინელი საჩუქარი გამოსთხოვა უცნობს? მისმა შეხებამ—კოცნამ საშინლება მოახდინა. ელფერი სახე, ნაზი სახე მარიას ერთბაშად გაბრწყინდა, გაყვითლდა. ცრემლები ლოყაზე შეჩერდა. მისმა ქერა თმებმა ფერი და სირბილე დაჰკარგეს, სხეული გაიქიმა, გაშეშდა მამის კოცნის შემდეგ. ბავში ისე როგორც იდგა—ოქროთ გარდაიქცა. სახის გამომეტყველება ისეთივე მოსიყვარულე, ნაზი და შემბრალებელი ჰქონდა. მისი პირი-სახე, ნიკაპზე ხალი—ყველაფერი გვაგონებდა მარიას, მაგრამ მას ნატამალი სიცოცხლე არ ეტყობოდა. ოქროს ქანდაკათ გარდაიქცა. რა საშინელებაა! დამნაშავე კი მამა იყო. საბრალო გრძნობდა, გული ეთუთქებოდა. თმებს იგლეჯდა, თავს აწყვეტდა. შიშით და კრძალივით შესცქეროდა ქალიშვილს, თვალი ვერ მოეშორებინა, თავი ვერ დაეჯერებინა რომ ყველაფერი სიმართლე იყო. აშტერდებოდა თავის საყვარელ მარიას და თანდათან რწმუნდებოდა თავის უბედურებაში.



ძნელი ასაწერი იყო მამის ტანჯვა, ახლა მეფეს უფრო უნდოდა მათხოვარი ყოფილიყო, ვიდრე დაეკარგა თავისი საუნჯე — ქალიშვილი. სიხარულით დაუთმოებდა მთლად თავის სიმდიდრეს, ოღონდ დაენახა მარიას წითელი ლოყები.

ასე შეწუხებული რომ იყო უცბათ კარებში დაინახა თავისი უცნაური სტუმარი, მიდასმა მაშინვე იცნო, თავი ძირს ჩაჰკიდა, სტუმარი ისევ ისე მხიარული, მოცინარი იყო. მის თვალებიდან ოქროს სხივები იფრქვევოდა და აშუქებდა, მეტადრე მარიას ქანდაკებას,

— რას იტყვი, ჩემო მეგობარო, ხომ კმაყოფილი ხარ ოქროებით?

მეფემ მწუხარებით გადიქნია თავი და თქვა:

— ჩემზე უბედური აღარავინ არის!

— როგორ, უბედური ხარ? რათა, მე ხომ ჩემი დაპირება შეგისრულე. ოქროები გინდოდა და შენ წადილს მიაღწიე!

მიდასმა ნაღვლიანათ უპასუხა: ოქროში არა ყოფილა ბედნიერება; მე დავკარგე ის საუნჯე, რომელიც ყველაზე მეტათ მიყვარს ქვეყანაზე.

— მაგას რას ამბობ! მე არ ვიცოდი რა არის შენთვის უძვირფასესი: ოქროს შეძენა თუ ერთი ჭიქა სუფთა, ანკარა წყალი?

— ო, წყალს რა შეედრება! მაგრამ ახლა წყალიც ვერას უშველის ჩემ გამშრალ ხახას, უთხრა მიდასმა.

უცნობმა განაგრძო: — რას იტყვი? ოქრო გინდა თუ ერთი ნაქერი ფაშარი პური.

— პურის ნაქერს ვამჯობინებ.

— რას ამჯობინებ უფრო შენ, რასაც ხელს მიაკარებ, რასაც შეეხები ოქროთ გარდაიქცეს თუ შენი პატარა საყვარელი მარია ისეთივე იყოს, როგორათაც ამ ერთი საათის წინეთ იყო?

— ჩემო შვილო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო შვილო! შეპყვირა უბედურმა მამამ, — მაგის ერთ ფრჩხილს ვამჯობინებ მთელ არე მარეს.

უცნობი დააკვირდა მეფეს და სთქვა:

— შენ ღლეს უფრო გონივრულათ სჯი, ვიდრე გუშინ. მეტყობა შენი გული ჯერ ისე არ გაქვავებულა, როგორც

ოქრო. ეს ბედნიერებაა! მგონი ადვილი გასაგებია, რომ რასაც ბუნება გვაძლევს ის სჯობია ყოველ სიმდიდრეს, ადამიანი კი ყოველთვის თავის ტეხით დაეძებს განძს! მითხარი გულწრფელათ, გინდა რომ აღარ გქონდეს ჩემი მოცემული ოქროს შეძენის შეხება?

მეფემ ამაზე უპასუხა: მე დღეის იქით შემეზიზნა ოქრო!

ამ დროს მიღას ცხვირზე ბუზი დააჯდა, მაშინვე ოქროთ გარდაიქცა და დავარდა იატაკზე. მიღასი შეძრწუნდა.

მაშინ უცნობმა უთხრა: — წადი ბაღში და იქ, მდინარეში ამოველე. წაიღე თან დოქი, მდინარიდან წყალი ამოიღე და იმითი მორწყე ყველა ის, რომელიც შენი შეხებით ოქროთ გარდაიქცეო, თუ შენ სასოებით მოიქცევი, შესაძლოა აგებსნას ის ბოროტობა, რომელიც შენმა ოქროს მოყვარულობამ მოგაყენა.

მეფემ თავი დაუკრა. მოჩვენება გაქრა.

მიღასს არ უნდოდა ერთი წუთის დაკარგვაც. საჩქაროთ აიღო დოქი ხელში, რომელიც მაშინვე ოქროთ გადაიქცა — და მდინარისაკენ გაეშურა, იგი ბილიკით ბუჩქებ და ხეებ შორის მიეჩქარებოდა და გარშემო ყველაფერი ყვითლდებოდა, თითქოს შემოდგომამ მოაწიაო, მეფე ტანისამოსით ჩავარდა წყალში.

— რა ნაირათ გავგრილდი, სუბუქათ ვგრძნობ თავს. იმედია მოვიშორე თავიდან ის საშინელი საჩუქარი! და მან სწრაფათ ააესო დოქი.

მეფეს სიხარულით გული აუფანცქალდა, დოქი ისევ თიხისა გახდა, მიღასს იმედი მიეცა, რომ მასშიაც ცვლილება მოხდება, გული მოეღბო, გრძნობა გაელვია. ეტყობოდა რომ მისი გულიც აქამდის გაქვავებული იყო. უსათუოდ თანდათან ბევრი წლების განმავლებაში ჩავარდნილიყო ამ მდგომარეობაში. ახლა კი დარბილდა, განაზნა, ნამდვილ ადამიანის გულათ გახდა. მიღასმა მდინარესთან დაინახა ია, ხელით შეეხო ნაზმა ყვავილმა არ დაჰკარგა თავისი ფერი, არ გაყვითლდა, ოქროთ არ გარდაიქცა, მხოლოდ ცოტათი დაქანა, მეფე აღტაცებაში მოვიდა. ჩანდა რომ თავიდან მოიშორა ის შეხება, რომელიც ყველაფერს ოქროთ აქცევდა.

მეფე მიღასი გაეშურა თავის სასახლეში. ვინ იცის რანაირათ



გაუკვირდათ ამის მოსამსახურებს რომ დაინახეს როგორ მოქ-
 ჯანდა მეფეს უბრალო დოქით წყალი, მაგრამ მიდასისთვის ეს
 უბრალო წყალი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე მთელი ოკე-
 ნე—ოქრო. მხოლოდ ამ წყლის საშუალებით შეიძლებოდა
 გაესწორებინა თავისი დაუფიქრებლობა. მეფე ყველაზე ადრე
 მივარდა მარიას ოქროს ქანდაკებას, შეასხა წყალი, ყმაწვილის
 ლოყებმა ელფერი მიიღეს, მას აცემინებდა და იფურთებოდა,
 მამა კი სულ ასხამდა წყალს, სწორედ სასაცილო სანახავი იყო!
 მარიას არა ახსოვდა რა მას მერე, რაც მამას მივარდა სანუგე-
 შოთ. არ იცოდა, რომ ოქროს ქანდაკებათ გარდაიქცა და ვე-
 რაფერი ვერ გაეგო, ვერ გაეგო თუ მამა რათ ასხამდა ასე გულ-
 დადებით წყალს და ყვიროდა:

— გეყოფა, მამავ, გეყოფა! ხედავ სულ სველი ვარ. ღღეს
 კი ახალი ძვირფასი კაბა მაცვია.

მეფემ თავის სულელურ ხარბობაზე ხმა არ ამოიღო, ახლა
 ხომ იგი დაქკვიანდა. პატარა მარია გაატარა ბაღში. ყველა
 ყვავილები მორწყა დანარჩენი წყლით და ათასს ვარდებმა თა-
 ვიანთი ნაზი ფერი და შეხედულობა მიიღეს. მიდას მთელ თა-
 ვის სიციცხლეში მხოლოდ ორი რამე აგონებდა ამ ოქროს
 შეხებას: ეს იყო მდინარის ქვიშა, რომელიც ოქროსავით
 ბრჭყვინავდა და კიდევ ის, რომ მარიას თმებმა ოქროს ფერი
 მიიღეს და ეს ყმაწვილს მეტად უხდებოდა.

მიდასი დაბერდა, მას უყვარდა თავისი შვილიშვილების,
 მარიას ყმაწვილების, მუხლებზე დასხდომა, მათ ოქროს თმებზე
 ხელის გადასმა და ოქროს შეხებაზე ამბების თხრობა.

— უნდა გითხრათ, ჩემო პაწიებო, იტყოდა ხოლმე, რომ
 მას აქეთ მეზიზღება ყველა, რაც მიეგვანება ოქროს, გარდა
 თქვენი მშვენიერი ხუჭუჭი თმებისა.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



როგორ გავატარე

ზაფხული



12 ივნისი იყო სოფელში რომ მოვედი. მზე საშუალოდ დაჰყურებდა. ნიაფი ოდნავათაც არ არხევდა ხის ფოთლებს, თითქოს ბუნება საიდუმლო ფიქრებით მოცულიყო, ისე სდუმდა ყოველივე.

ეზოს კარები რომ შეაღო ჩვენმა მეურმემ, ბებია ჩემი გამოგვეგება. სიხარულით თვალები გაუბრწყინდა მოხუცს, ხელები აუკანკალდა და მისაღმების შემდეგ უსაყვედურა დედას. „შვილო, მშობელი დედის ასე დავიწყებას ღმერთი გიწყენს... მოგხუცდი... ცას ხომ აღარ გამოგვეკერებია“. დაიწყო ჩიფჩიფი და თვალებზე მომდგარი ცრემლების წმენდა. მე მხოლოდ დღეს ვნახე პირველათ სოფელი. ყველაფერი მაკვირვებდა, ყველაფერი თავისკენ მიზიდავდა... განსაკუთრებით ლამაზი იყო ბებიჩემის ეზო. ფართე და სწორი. აქა-იქ გუნდ-გუნდათ იდგა ლამაზი ხეები. მზრუნველი ხელით მოვლილი იყო. მდელი ზურმუხტით ბიბინებდა. ძველებურ, ყორე ქვის საძირკველ დადგმულ ოდას, ირგვლივ კოჭებიანი ღია აივანი ჰქონდა შემოვლებული, რომელზედაც გაბარდნილი იყო ახლათ გაფურჩქნილი ვაზები. აივნის წინ აუარებელი ვარდები და სხვა ყვავილები იყო გამწყრივებული.

— იხტუნე და ითამაშე შვილო, თქვენთვის დავრგი ეს ყვავილები. აი ვენახის საქანელაც თქვენთვის გვაკეთებინე.

მომეალერსა ბებია და მიმახედა ოდის გვერდში დიდ ცხემლებზე გაბმულ ვენახის საქანელასკენ. მე ისევ მობუზული ვიდეგი, თუმცა გულით მინდოდა საქანელაზე დაჯდომა და ერთი აფრიალება ჰაერში. ან ფართე მინდორში გამესროლა ჩემი წითელი დიდი ბურთი, რომელიც წამოსვლის დროს მაშამ მაჩუქა. მაგრამ მივიხედ-მოვიხედე და ჩემს ირგვლივ არავინ იყო, რომ ამდევნებოდა ბურთაობაში და მეტოქეთ გამხ-



დომოდა. ბელისკენ რომ გავიხედე რამოდენიმე გოგო—ბიჭების თავები ჩანდნენ. დამფრთხალი იცქირებოდნენ ჩვენსკენ და თუ შეგვაძინევდნენ მათკენ მოვიხედეთ, იმ წამსვე გასწევდნენ უკან თავებს და მიიმალებოდნენ საღდაც. მათმა ასეთმა საქციელმა მე ძლიერ დამაღონა, გადაწყვეტილი მქონდა, რომ მთელი ზაფხული მარტო გამეტარებინა. ჩემს უმცროს დას არ უყვარდა ბურთაობა და სირბილი. ის მუდამ თავის დედოფალს უტრიალებდა. შემდეგ მომაგონდა ბიძაჩემი. კობია, ახალგაზრდა ყმაწილი. ხშირათ დადიოდა ჩვენთან ქალაქში და ძალიანაც მიყვარდა. გამახსენდა რომ მაშინ ბიძიას კვიცი ჰყავდა. ხშირათ მეტყოდა ის, ჩემს კვიცს რომ გავხედნი შენ ჩამოგიყვან ქალაქშიო. ახლა კარგი ცხენი იქნება თქო, ვიფიქრე. თან წარმომიდგა, თითქოს ბიძიამ შემოაქენა ცხენი ეზოში, მე რომ დამინახა სწრაფათ გადმოხტა, მაკოცა, მომეფერა და შემსვა ზედ. ლაგამი მაგრათ დამაჭერინა ხელში და გამიშვა ეზოში, ველარ მოვითმინე და მოვბრუნდი, კრძალვით კვითხე ბეზიას:

— ბები, ბიძია ცხენით არის სადმე წასული!

ბეზიამ ინდაყვი მაგიდას დააყრდნო, თავი ხელზე დაიდო და ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, რამოდენიმე ცვარი ცრემლი მაგიდაზე დაეცა. გამიკვირდა და თანაც შემეშინდა. დედას შევხედე. დედას ხელები გულზე დაეკრიფა და დაღვრემილი შორს გაიციქრებოდა. დედის ასეთმა საქციელმა უფრო შემაშინა. თანაც საშინელი ფიქრები მომივიდა თავში. მივხვდი ბიძა ჩემის თავზე რაღაც არა ჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. დიდხანს ვიფიქრე თუ როგორ მოვქცეულიყავი, როგორ მიმეხწია მიზანს, რომ გამეგო მიზეზი ბეზია ჩემის ცრემლებისა. გადავსწყვიტე რაც უნდა დამმართნოდა მეკითხა ბიძაჩემის ამბავი, მაგრამ რაღაც არა ჩვეულებრივმა გაუბედაობამ შემიპყრო და გაქვავებულივით დავრჩი. დიდხანს ვიყავი ასე. კიდევ დიდხანს დავრჩებოდი, რომ სამზარეულოდან არ გამოსულიყო შავებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი და მოკრძალებით სადილი არ მოერთმია ჩვენთვის.

— ვინ არის ეს ლამაზი ქალი? იკითხა დედამ.

— გოგიეის რძალია შეილო, მასიკოის ცოლი.

— რომელი მასიკოის რომ არ მახსოვს?!

— რაღა არ გახსოვს, შვილო, გოგოების მასიკო—შენი ძმობილი. ერთ ძუძუზე ხართ გაზრდილი.

დედა ოდნავ დაფიქრდა და მერმე ჩქარა წამოიძახა:

— მახსოვს, რაღა არ მახსოვს... სანამ გავთხოვდებოდი, ჩემთან ხშირათ მოჰქონდა საჩუქრები. ამ ქალს რისთვის აცვია შავები?

— ომში მოკლეს საწყალი იი ბიჭი. ცოლშვილი ასე უპატრონოთ დარჩა საწყალს.

ის ქალი მეორეთ მობრუნდა სამზარეულოდან და მოგვიტანა ქათმები, კიტრის წნილი და ყველი.

— აი კესო, მიმართა ხმის კანკალით ბებიაჩემმა. — შენი ქმარი და ეს ჩემი ქალიშვილი ერთ ძუძუზე იყვნენ გაზრდილი.

დედა იმ წამსვე მოეხვია კესოს და რამოდენიმე ტკბილი სიტყვით ანუგეშა. სადილს რომ შეუდექით, მე განგებ არ ვაშორებდი თვალს ბებია ჩემს. ის უხალისოთ ფურჩინდა ღომა, ამოსვრიდა წვეწვში და ისე აცმაცუნებდა პირს, ეტყობოდა კბილები სრულიად აღარ ჰქონდა. სადილის უკან კესომ ოდაში მიგვიპატიჟა მოსასვენებლათ. დედამ ბარგის ლაგება დაიწყო, რომელიც მეურმეს აივანზე შეეყარა. ბებიაც მას მოუჯდა და გვერდით და რაღაც პირმოკრძედილი ჩურჩული დაიწყეს.

— შვილო, ბავშვებს მიხედე. გადმოსძახა ბებიამ კესოს. კესომ ჩემი უმცროსი და აიყვანა ხელში და ისე შევედით სასტუმრო ოთახში. ეს სასტუმრო ოთახი სრულიად არ გავდა ჩვენს ხალიჩებით დაფენილს და რბილი სავარძლებით მორთულ ოთახს. შუაში ერთი დიდი მაგიდა იდგა. ზედ მწვანე შუშის ლამპა და ნარდი იდო. მაგიდის ირგვლივ რამოდენიმე დაწნული ქსელის სკამი იდგა, სიგარძით, კუთხის გასწვრივ, იდგა ტახტი უბრალო ფარდავით დაფენილი. კედელზე აღმოსავლეთით ძველთა ძველი ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. ჩრდილოეთით ხელმწიფის და მისი ოჯახობის სურათის გვერდით გამწკვრივებული რამოდენიმე წმინდანების და ომის სურათები იყო. პირდაპირ კედელზე მიკრული იქვე ბოსფორ-დარდანელის რუკა იყო გაკრული და მის ქვეშ შავ-ყვითელ ზოლებიან ჩარჩოში იყო ჩასმული ბიძაჩემის სურათი. როგორც შევხედე ჩერქეზულათ გამოწყობილ კოხტა ახალგაზრდას, აღტ-



ცებით წამოვიძახე:

— ბიძია მიხაკო!..

კესო მომიბრუნდა და ღმობიერათ მკითხა.

— ძალიან გიყვარდა ბიძა შენი? ის ჩემი შეიღების ხათ-
 ლია იყო.

— როგორ, იყო და არ არის?!.

— ჰო, არის, მაგრამ ვინ იცის სად არის?!.

— მართლა მითხარი სად არის ბიძია?

— სუუ!.. წამჩურჩულა კესომ, — ჩუმათ ვილაპარაკოთ.
 ბებია მ არ გაიგოს

მე განცვიფრებული მივაშტერდი კესოს.

— ბიძა შენი გერმანიისკენ ოშშია. ზოგი ამბობს მოკ-
 ლესო. ზოგი ამბობს გერმანელებმა წაიყვანეს ტყვეთო. ბებია-
 შენთან კი არაფერი თქვა, ამის შესახებ.

გულდაწყვეტილი ჩამოვჯექი ტახტზე. კესომ ჩემი და
 მეორე ოთახში გაიყვანა და ცოტა ხნის შემდეგ დავინახე
 შორს, წინა ეზოს კიშკართან (ალაყაფის კარებთან) მიდიო-
 დენ ორთავე სადღაც. მარტოთ დავრჩი ოთახში. საშინელი
 ფიქრები მომივიდა თავში. წარმომიდგა ბიძიას სიკვდილით რო-
 გორ შეწუხდებოდა დედა და ბებია. ან როგორ უნდა გამე-
 ტარებია მთელი ზაფხული ამ მოწყენილ ოჯახში. ამ დროს
 დედამ დამიძახა და წავედი ბაღის დასათვალიერებლათ. ბაღ-
 ში აუარებელი ხილი დამიხვდა: ატამი, ვაშლი, მსხალი და
 სხვა... პატარა სარებზე მიკრულ ამერიკულ ვაზებზე ჩამო-
 ძაძულიყო ჯერ კიდევ დაუკრეფელი ტევნები.

— აი ჩემო ბიჭიკო, სულ ადრე დამწიფდება ყველაფერი.
 მითხრა ბებია. — წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. ღმერთი
 რომ კაცთა შვილობას ინებებდეს. დაუმატა მანვე.

მზე დასავლეთისკენ დაიხარა და სასიამოვნო ქარი აქ-
 როლდა. დედას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე და მოისურვა
 მდინარისკენ წასვლა. იქვე ახლოს, ბაღის გვერდით, მოჩუბჩუ-
 ხებდა მდინარე — ფართე, აფერადებული ქალებით, ქალებს
 ზევით ცისკენ მედიდურათ აწვდილი კლდეები, კლდეებზედ
 აქა-იქ ობლათ მომხერალი — თეთრი და ცისფერი ნაზი ყვავი-
 ლები, განსაკუთრებული სილამაზით მეხატებოდა თვალ წინ.
 ამ ბუნების სილამაზემ და სამარისებურ სიჩუმემ პირველ ხა-

ნებში საშინელი მოწყენილობა გამოიწვი ჩემში. ზოგჯერ, როდესაც მოწყენილობა გულიდან გადამეყრებოდა მომინდებოდა ზტუნაობა, ბურთაობა, ბალებში და ქალებში ხეტიალი, მარადედას და ბებიას რომ შეეხედავდი ცელქობის ხალისი გადამივარდებოდა.

—დიდი ხანია აღარ მიმიღია ჩემი მიხაკოის წერილი. ცრემლმორეული იტყოდა ბებია ჩემი. და ხელებს სასოვებით ააპყრობდა ზეცისკენ, თან ჩუმად რამოდენიმე სიტყვას ჩაიჩურჩულებდა. ასე მოწყენილათ ვატარებდი დროს.

II

ერა დღეს დილით აღარ ავდევდი. კვირა იყო. წითელი ყირმიზი მზე მთის მწვერვალებს ეთამაშებოდა. აღმოსავლეთის წყნარი სასიამოვნო სიონელა არხევდა ვარდ-ყავილებს და ტირიფის ფოთლებს ისე აფორიაქებდა, რომ ადამიანს შორიდან ასე ეგონებოდა, თეთრი პაწაწინა ფრინველები დახვევია ხის ტოტებსაო. აივანზე გამოვდი და გადავხედე არე-მარეს. ისე ლამაზი და წარმტაცი იყო ჩემს ირგვლივ, ყოველივე, რომ აუარებელი ფიქრები მომივიდა თავში. მინდოდა რაიმე სასარგებლო საქმე გამეკეთებინა ვისმესთვის. მაგრამ ვერ მოვიფიქრე თუ რა საქმე უნდა გამეკეთებინა. ამ დროს დამძლია გიჟურმა სურვილმა და უნებლიეთ ჩავიბრინე ძირს. პირველათ ყვავილებში შეესრიალდი. რამდენიმე ვარდი მოვსწყვიტე, დავყნოსე და მერმე გავექანე ფართე ეზოში. ყველა ხის ძირი შამოვიბრინე. ბაღში რომ გადავხტი, ვარდები აღარ მეჭირა ხელში. ლამაზი იყო ქალები... ჩავიბრინე და ქვებზე დავეშვი. სული გავტვრინე... მდინარის მხუილი, ფრინველთა ქრიაშული ერთმანეთს უერთდებოდა და საამურათ იფანტებოდა სუფთა აკაშკაშებულ ჰაერში. დიდხანს ვიჯექი ქალაში და სიამოვნებით შევყურებდი მოლურჯო, გამსჭვირვალე მანდილით მოპურულ ბუმბერაზ კლდეებს. ცოტა ხნის შემდეგ საშინელმა ქრუანტელმა დამიარა ტანში. ჩემს წინ აღემართენ რაღაც ახირებული ლანდები, შიშმა შემიპყრო... სირბილით გავეშურე შინისკენ, თან გული ძალზე მიცემდა. ასე მეგონა ვილა-ცეები მომდევდნ უკან. აივნის კიბესთან რომ მიველ, დავიხედე ტანისამოსზე, სრულად დავსველებულიყავ ცვარისაგან, რად-



გან ვიცოდი დედას ეწყინებოდა ჩემი ასეთი საქციელი, სამ-
 ზარეულოში შევედი ფეხების გასაწმენდათ და ტანისამოსის
 გასაშრობათ. კესოს ქვის დიდი კეცი გადმოედგა და ზედ ხაჰა-
 პურს ასწორებდა.

— სად ყოფილხარ გოგილა ამ დილა ადრიან, ასე რათ
 დასველებულხარ? მკითხა კესომ.

— ქალებში ვიყავი.

— აა შე ეშმაკო, ჩიტებს დაედევნებოდი. ვერ დაი-
 ქირე?

— როგორ დავიჭერდი!.. მე ხომ ფრენა არ ვიცი.

— ფრენა რათ გინდა. ჩემი შვილები, ისეც იჭერენ.
 ადვილია ბუდიდან გადმოსული ბარტყების დაქერა.

— სად არიან შერე შენი შვილები? არ შეიძლება მა-
 ნახო?

— ჩემი შვილები რა გამოსაჩენია. იგინი ჩაცმულები
 არ არიან. შერცხვებათ. ამან დამაფიქრა, მერმე მიუბრუნდი
 ისევ კესოს.

— თუ შენს შვილებს არ მოიყვან, სხვა ბავშებს არ
 იცნობ ამ სოფელში, რომ უთხრა ჩემთან მოვიდენ.

— რავა არა, ამ სოფლის ბავშებს ყველას ვიცნობ, მა-
 რა შენი საკადრისი არ არიან. ზოგს ფეხზე არ აცვიათ, ზოგს
 ტანზე.

— არა უშავს... დავეღრიჯე მე.

— თუ ღმერთი გწამს მოიყვანე შენი შვილებიც და
 სხვისი ბავშბიც. მე დიდი ბურთი მაქვს და ვიბურთავებთ
 ეზოში.

— რა დროს ბურთაობაა ჩემო გოგილა და მხიარულება,
 მთელი სოფელი შევებშია. შენ ხელას კკუა მართებს, განა არ
 იცი ქვეყანაზე რა ომი და სისხლის ღვრაა?

— მერე ჩვენ რა?!

— ჩვენ ისა, რომ სხვისმა ქირმა უნდა დაგვადონოს და
 კიდევ ბიძა შენი?!

ბიძა ჩემის გახსენებაზე ცოტა არ იყოს შემრცხვა, და
 თვალები, რომელიც ცეცხლისაგან გაწითლებულ კესოს სახე-
 ზე მქონდა მიშტერებული, ძირს დაეხარე. კესომ გაშლილ

მუგუზლებს თავი მოუყარა, ცეცხლის პირი ჩააცოცხა და ხელ პირი დაიბანა.

— წამოდი თუ გინდა წისქვილს გაჩვენებ, მითხრა მან.

სახლის კარი გამოკეტა და წავედით წისქვილში. სანამ წისქვილში ჩავიდოდით, სულ იმ ფიქრში ვიყავი, თუ რა მეთქვა ისეთი, რომ კესოს მოსწონებოდა.

— მე ბევრი წიგნები და საყმაწვილო ჟურნალები მაქვს ქალაქიდან წამოღებული. მორცხვი ღიმილით დავიწყე მე.

— მშვენიერი ნახატებიც მაქვს.

— კარგი ამბებიანი წიგნია? „ჯეჯილში“ და „ნაკადულ-ში“ ბევრი ლექსებია. მთელი წლის წამოვიღე. სულ სამოცი წიგნია.

— უფ! მაგდენი?

— შენ ხომ იცი კითხვა?

— ნაბეჭდს ვკითხულობ!

— შენმა შვილებმა იციან?

— იგინი ჯერ პატარები არიან.

— რამდენი შვილი გყავს?

— ქალ-ვაჟი.

— რომ გაიზრდებიან ხომ შეიყვან სასწავლებელში?

— ერთ-ერთს.

— უთუოთ უფროს ასწავლი.

— უფროსი ქალია, სახლში საქმეზე მომეხმარება.. ამ ლაპარაკით შევედით წისქვილში.

— უი ღმერთო მომკალი! წამოიძახა კესომ, როდესაც ნახა ცალიერი წისქვილი ღრიალებდა. ჩქარა გამოვარდა გარეთ და სათავე გადაკეტა. როცა დავბრუნდით შინ კიდევ დავედრიჯე კესოს და ვსთხოვე, დღეს მოეყვანა ჩემთან სოფლის ბავშვები. ისიც შემპირდა.

მიმქრალი.

(დასასრული იქნება)



პ ა ლ ი ა.

კარლ ევალდისა.

(გუჟდუნი თამარიკოს)



ფრიკის მიდამოებში ცხელოდა. ძლევა მოსილი მზე დედამიწას აცხუნებდა და საბრალო მინდერებს სიცხის ალმური ასლიოდა. დრო გამოშვებით გრილი სიო ოქროს ყანებს თავს გადაევლებოდა და შვება-სიამესა ჰგვრიდა.

კალია ჩირგვებსა და ბალახებში მარდათ ხტოდა და მადიანათ ილუკმებოდა.

უცებ სად იყო და სად არა კულმაკრატელა მერცხალი მოფრინდა, იქვე ჩირგვზე დასკუპდა და მზიარული ჭიკჭიკი მორთო. სრულიათ მოულოდნელათ კულმაკრატელამ ხტუნია კალიას თვალი მოჰკრა და ხმა გაჰკმინდა.

— შენ ვინა ხარ? დინჯათ ჰკითხა მერცხალს კალიამ და დოინჯი შემოიყარა,

მერცხალი კარგ გუნებაზე იყო, რადგან ჩრდილოეთისკენ უცხოეთში გადაფრენას აპირებდა. მან დარბაისლურათ კალიას თავი დაუყრა და მეგობრული სალამი უძღვნა. ესეც არ აკმარა. მალე მზიარული ჭიკჭიკით კალიას ასე მიუმღერა:

მე პაწია მერცხალი

მუდამ ვხტუნავ, დავფრინავ!

— კეთილი იყოს ჩვენი შეყრა! შესძახა გახარებულმა კალიამ. — ფრიად მახარებს შენი სტუმრობა. აქ, როგორც ხედავ, ყოველგვარი საზრდო ბლომით მოიპოვება დარასაკირველია, ყველასთვის სამყოფი იქნება.

მერცხალმა ამაზედაც კიკიკით მიუგო:

„მალე ფრთა-ფრთას შემოვკრავ,
გავსწევ სხვასა მხარესა,
ჩემი კიკ-კიკ, კიკ-კიკი
მსმენელსაც ახარებსა...“

— ასეა, დიახ ასე! უკმაყოფილოთ წაელაპარაკა კალია, შენ თურმე გაფრენას აპირობ! მერე და ეს უგუნურობა არაა! ჩვენ აქ განცხრომასა და სეტარებაში გავატარებდით ღროს! შენ სიმღერის ნიჭი გქონია.

— რა ვიცი... ყველა კი ასე მეუბნება, დარცხვენით მიუგო მერცხალმა: — მითხარი, გეთაყვა, შენ ვინლა ხარ?

კალიამაც წვრილი ხმით მიუძღერა:

„მე კალიას მეძახიან,
მუდამ დავხტი მინდორშია...“

— შენც მგალობელი ყოფილხარ! უთხრა მერცხალმა.

— ჰმ! და მერე როგორი! მედიდურათ უპასუხა კალიამ — მთელ აქეთ მხარეს პირველი მექიანურე ვარ! ტოლი არა მყავს! აი, შენ პატივი გეცი და ჩემი ქიანურის ხმა მოგასმენინე, ისე წარა-მარა როდი ვმღერი! ზოგიერთებს, როგორც მაგალითად აღამიანებს, ჩემი ქიანურის მოსმენა არც კი შეუძლიანთ. ალბათ არ მოსწონთ!

— ოხ... აღამიანები! ზიზლით წამოიძახა მერცხალმა.

— ისინი ვერაფერს ხედვენ და ვერაფერს ისმენენ, სთქვა კალიამ. — მაგრამ მაინც თავი ჩვენზე მაღლა მოაქეთ. თითქო რამეში გვჯობდენ! ის კი არა, ჩვენ გაცილებით აღამიანებზე უკეთესები ვართ. ჩემი საქმრო მოუხეშავი ხმით გალობს, მართლაც და არ მოგეწონება. ალბათ იმის ქიანურის ხმა მოისმინეს და მიტომაა, რომ არაფრათ გვაგდებენ. მე კი ვერ მიცნობენ!

— სადაა შენი ქიანური? — ჰკითხა მერცხალმა.

— აი, აქ თეძოებში! — უპასუხა კალიამ და უკანა ფეხი ასწია. ქამამჩა ჩემი ფრთები

— დიდათ საყურადღებოა! უთხრა კულ-მაკრატელამ — ექვს გარეშეა, შენ საუცხოვო სმენაც გექნება!

— ყურები წინა ფეხებზე მიწყვია. — უპასუხა კალიამ.

— როგორი საკვირველებაა! ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა გაოცებულმა მერცხალმა



ამ დროს ბალახებიდან მეორე ჭიანურის ხმა გამოისმა.

— უკაცრავათ, — უთხრა მერცხალს კალიამ, — ეს ჩემი საქმროა რო მდერის. ახლა საქორწილოთ ვემზადებით.

— ბედნიერებას გისურვებთ! — უთხრა მერცხალმა.

მაგრამ თავმომწონე კალიას არაფრათ უღირდა მერცხლის დალოცვა. არც-კი მოისმინა, ისე ჩაიმალა ბუჩქებში.

— ამ ქარაფშუტას კარგი ფეხები ასხია. — გაიფიქრა მერცხალმა — და ლერწამზე ჯდომა განაგრძო. ის შებინძურებს უცდიდა, რომ აფრიკა*) მიეტოვებია და ჩრდილოეთისკენ გაფრენილიყო.

სალამო ეამს კალიაც დაბრუნდა.

— დასრულდა! — სთქვა კალიამ.

— ნება მიბოძე, მოგილოცო! უთხრა კუდ-მაკრატელამ.

— არაა საქმრო! — მიუგო კალიამ. — ჩემთვის და ჩემი მსგავსებისთვის ქორწილი დასასრულის დასაწყისია. ახლა ის და დამრჩენია, კვერცხები დავყარო და შემდეგ სული განუტევო.

— შენ მეუღლეს რაღა დაეძარებოდა!

— ისიც მოკვდება არა უგვიანეს დღევანდელი ღამისა, თუ ჯერ კიდევ არ გამგზავრებულია საიქიოსკენ...

— რა საშინელებაა! — შესქყივლა მერცხალმა. — განა სხვას არა აქვს ბუდე და შიგ ბარტყები არა ჰყავს! მაგრამ ქმარი, რომელიც მუდამ ღიღინობს, თუ კი...

— მაპატიე, რომ გაწყვეტინებ... ეს ჩიტების ჩვეულებრივი ყბედობაა, რომლის მოსმენა მართალი გიძახრა, არაფრათ მეპიტნავება. როგორც გადმომცეს, შენ ბევრი გიმგზავრია, ბევრი რამ გინახავს და მიკვირს, რომ პირფერობა გყვარებია. სჯობს სხვა რამეზე ვიმუსაიფოთ, თორემ მაგ შენი გულუბრყვილო ბაასი, მერწმუნე, ყველასათვის მოსაწყენია. ყოველ არსებას თავისი ზნე-ჩვეულება აქვს მინიჭებული. ზოგ ყეყენს მხოლოდ თავისი ცხოვრება მოსწონს და სხვასაც აიძულებს მას მიბაძოს.

*) აფრიკა — ქვეყანაა, სადაც აჯტანელი სიცხეები იცის და შავკანიანი ზანგები, იქაური მცხოვრებნი, ნახევრათ შიშვლეზი ღადიან ხოლმე.

მერცხალს შერცხვა და ხმა გაკმინდა. ის დიდხანს უცქერდა მოლაყბე კალიას.

კალია ბალახის ქამას შეუღდა. ვეებერთელა ლუკმას პაწია პირში იტენიდა და დაღეჭილ საზრდოს მალი-მალ გაუმძლავრ კუჭისაკენ გზავნიდა. როცა ისე გასისინდებოდა, რომ მუცელი გაებერებოდა, ისევ უკან ჰყრიდა პირიდან ნალექს.

მერცხალი გაშტერებით თვალს ადევნებდა მის უმგავრო საქციელს და განცვიფრებაში მოდიოდა. ბოლოს მოთმინება დაჰკარგა და კალიას ასე შეჰკადრა:

— რას სჩადიხარ, ქამაც აღარ იცი?

— შენი საქმე არაა! — დაუყვირა კალიამ. მე ჩემს გემოზე ვქამ. ამ ჩალას რო უყურებ ეს ჩემი კუჭისათვის კი არ არსებობს. აქედან მხოლოდ წვეს ვწუწნი და უსარგებლოს გარეთ ვყრი. შენც ასე არ იქცევი!

— რასაკვირველია! — უპასუხა მერცხალმა, მაგრამ, თუ უკაცრავად არ ვიყო, სულ სხვა გზით ვყრი უსარგებლოს.

— მერე და შენ გგონია აგრე უფრო კარგია? — გაეცინა კალიას. — რა იცი, რომ შენი საქციელი უფრო დასაგმობი არაა!.. მაგრამ ეჰ, თუ დაია ხარ, ამას თავი დაეანებოთ. უკეთესია მითხრა: შენ მალლა ზიხარ... გარშემო ბალახი ბლომითაა?

— ყველგან, სადაც კი ჩემი თვალი სწვდება, მხოლოდ ბალახია და მეტი არაფერი.

— მერე რა, — განაგრძო კალიამ, — ხომ იცი, რომ როცა ასეთი თფილი ამინდია, როგორც წრეულს, კალია აუარებელი გამოიჩეკება და ეს თვალუწვდენელი მინდვრებიც ვერ გააძღობს მათ.

— რას ამბობ! ნუ თუ მართლა? — გაოცდა მერცხალი. — მაშ, რას იზამთ წრეულს, რითი გამოიკვებებით?

— ვიმთაბარებთ! ხან ერთს ამწვანებულ მდელოს ვეწვევით, ხან მეორეს, ხან მესამეს...

— ჰო, ხტუნვა კარგი გცოდნია და ადვილათ იმთაბარებ. — მიუგო კუდმაკრატელამ.

— ესეც მითხარი, გეთაყვა, იმ ქვეყნებში, საიდანაც შენ მოფრენ, მწვანილეულობა საკმაოთაა?

— რასაკვირველია. დედა-მიწა რო შემოიარო ასეთ ამწ-



ვანებულ ქვეყნებს ვერსად ვერ ნახავ. ზაფხულობით ნამეტურ სამოთხეს ედარებიან. მინდვრები და ველები, ტყეები და ღრე-ები, წყაროები და რუები—ყველაფერი მწვანითაა მოსილი. ამ გვარ ლამაზ ბუნებას ადამიანის თვალი ძალიან იშვიათათ თუ იხილავს!

— ბიჭოს! ეგეც საფიქრებელია...

— იფიქრე რამდენიც გენებოს, მაგრამ შენ რო ასეთი. მოკლე, თხელი ფრთებით იმ ქვეყნებში ჩააწიო, ბევრი დამა-კვებე. ასე ახლო კი ნუ გგონია: რამდენივე ასეული მილი მანძილია სამგზავრო

— ვაი, შე საწყალო, თუ ფიქრობ, რომ შენ ჩემზე უკეთ დაფრენ! თუ კი კვერცხების დაყრით ტანს დავიშატებ, განა შენ მაჯობებ ფრენაში? ჩემი ტანი შენსას როდი ჰგავს: მე უთვალავი ნახვრეტი მაქვს კანზე, როცა გაფრენას დავაბი-რებ, ჰაერს ბლომით შევისუნთქავ და მერე მიყურე ვინ ვის გაასწრებს!

— შეუძლებელი არაფარია. თუ ყველაფერი ხელს გიწ-ყობს რათ არ გაფრინდები. ღმერთმაც ინებოს, რამდენიმე შენს შვილს იქ შევეყარო.

— ჰმ! რამდენიმეს!—უკმაყოფილოთ თავი ჩაიქნია კა-ლიამ.—შენ ვერ გაიგე ჩემი ნათქვამი. კალია იმდენი გამოი-ჩეკება, იმდენი, რომ დათვალა-კი გაჭირდება. შენ ქმარ-შვი-ლიანი ხარ, ერთი ტალახის ბუდეც გაქვს და თავზე ბუხსაც არ იფრენ, ყოყოჩობ, დიდი რამ გონია შენი თავი. კალია-კი, თუ უამხანაგოთ ცხოვრობს, თუ გუნდ-გუნდათ არ იკრიბება, თავს უბედურათ სთვლის. გესმის თუ არა? მაგრამ როცა შევ-ჯგუფდებით, მაშინ გვიტიე, დედამიწის ზურგზე ვერავინ მო-გვერევა. ვერაფერი შეგვაჩერებს, ვერავინ გადაგველობება წინ. ჩვენ ვანადგურებთ ყველაფერს, რაც კი გზაში შეგვხდება. დედამიწის შვილია თუ ვინმე წინ დაგვიდგეს! თუ გსურს აი, ჩვენ საომარ სიმღერასაც მოვასმენ.

— რატომ არა, მხოლოდ მგონია ცოტა არ იყოს ტრა-ბახობ კიდევ.

— ტრაბახი კი არა ის არ გინდა! მოისმინე!—შესძახა კალიამ ამაყათ მერცხალს, თავის ქიანურზე ქამანჩა გაუსვა და ზედ დაამღერა:

„ჩვენ კალიასა ყანებში
ვინ დაუდგება წინაო!
ბედმა გვარგუნა კალიებს,
ვილხინოთ მწვანე ბალახით.
ერთობა გვიყვარს! გმირულათ
ძმობა მგზავრობას ეწვევა...
ერთი კუთხიდან მეორეს
მოუწვეველათ ეწვევა!..

— ვერ არის სასიამოვნო სიმღერა! — უთხრა დაღონე-
ბულმა მერცხალმა: — მიკვირს ღმერთმანი, თუ რასაც შენ მე-
უბნები ყველა მართალია, ასეთს სვლეზია-ტვლეზია ჯარს რა
მინდორ-ველი გიძლებთ!

— ამისი რა მოგახსენო, ყველას უკვირს-დინჯათ სთქვა
კალიამ. — ახლა-კი დროა კვერცხები დაეყარო.

კალიამ იქვე ახლო პატარა ორმო ამოჩიჩქნა და კვერც-
ხები ჩააწყო.

— აქ ოცდახუთი ცალი იყოს! სთქვა მან.

შორიანლო მეორე ორმო ამოთხარა და იქაც კვერცხები
ბლომათ ჩაყარა

— ახლა დავმჩატდი, ოც და ხუთი კიდევ დამრჩა! — სთქვა
კალიამ.

როცა ისინიც დაყარა, ფრთები ჩამოფოფება და სრულიათ
დაუძლურდა.

— ამ მომავალ თაობას ჩრდილოეთისკენ გამგზავრება
ვუანდერძე შენ რო მიჩიე, იქ საკმაოთაა მწვანე ბალახიო —
დაგიჯერე! მშვიდობით! ღმერთო შენ დაიფარე ჩემი შვილები
განსაცდელისგან. — სუსტი ხმით წამოიძახა კალიამ.

— ღმერთო შეეწიე! — შესძახა მერცხალმა.

— ვაიმე, ვკვდები... მშვიდო... — აღარ დასცალდა სულთ-
მობრძავ კალიას და იქვე სული დალია.

II

მაისის უკანასკნელი დღე იყო.

აფრიკიდან წამოსული ჩრდილოეთით მერცხალი კვერცხებ-
ზე გულმოდგინეთ იჯდა და დღე-დღეზე ბარტყების გამოჩეკას
აპირობდა.

კალიის შვილებმა-კი აქვე ახლო თავი გამოყვეს და მზის



სხივებს სალამი უძღვნეს. პატარაები მზეზე თფებოდენ და მწვანე ბალახებში ცქვიტათ დახტოდენ. ისინი, დედა კალიასაგან არაფრით არ განირჩეოდენ: მხოლოდ ფრთები არ ჰქონდათ და ტანით მორჩილნი იყვნენ.

ჯერ კიდევ ხეირიანათ ენა არ ჰქონდათ ამოდგმული, რომ ხმა მალლა ყვიროდენ: გეშიაო.

ღილიდან სალამომდი განუწყვეტლივ სჰამდენ. ზოგიერთნი ღამითაც ილუკმებოდენ.

სულ ჰამა და ჰამა! ჰამის მეტი არაფერი აგონდებოდათ. ცისმარე დღე ყბებს არ შეაწერებდენ

აი, ახლა რო ჩირგვზე კუდმაკრატელა მჯდარიყო, ადვილათ მიხვდებოდა, რაზედაც ზრუნავდა დედა-კალია.

თფილი ამინდი იდგა. კალია იმდენი გამოიჩეკა, რომ საითაც თვალი გასწვდებოდა, ყველგან პაწაწკინტელა, ავმუცელა კალიებს დაინახავდით.

ერთი საოცარი ზნე სჰირდათ პატარა კალიებს: არასოდეს დანაყრებული არ იყვნენ. წამ-და-უწუმ ილოდნებოდენ და შეყლაპულს უკანვე პირიდან ჰყრიდენ.

ორი დღის შემდეგ იმ არემარეში ერთი მწვანე ლეროც-კი არ დარჩენილა. წვრილი ლერწმის ფოთლებიც ხარბათ შესანსლეს და ჰაერში გატიტვლებული ტოტები იყო გაშვერილი.

მზერალს ზამთარი მოაგონდებოდა! რისი გაღეჰჰაც კი მოხერხდებოდა, ყველაფერი მოსრეს. მაგრამ ახალგაზრდა კალიები მაინც ტირილითა და ღალადით მთაბარს აყრუებდენ: გეშია! გვაჰამეთ! შიმშილით ვიხოცებითო.

მეტი გზა აღარ იყო: აიშალენ ამ გავერანებულ ადგილიდან და იწყეს მგზავრობა.

ზოგი მათგანი ჩრდილოეთისაკენ გაეშურა... ეს იყვნენ ისინი, რომელთაც დედამ უანდერძა: აქ რო საზრდო გამოილევა, ჩრდილოეთის მწვანე ქვეყნებს ესტუმრეთო.

სხვებიც მათ კვალს აედევნა.

ყოველი მხრიდან ახალ-ახალი გუნდები მოეშურებოდა, რომელნიც დაუბატივებელ სტუმრებს უერთდებოდა. გრძელ, უსაზღვრო წყებებათ ჩამწკრივდენ. ერთმანეთზე ისე მჭიდროთ იყვნენ გადახლართული, რომ უკანანი წინებს ფეხსაც-კი ადგამდენ.



1000000000
1000000000



ერეკლე
ბიბლიოთეკა

საშინელი იყო მათი მგზავრობა!

მეომართა ჯარი განუწყვეტლივ იზრდებოდა და მიწის ყოველ მხარეს, რომელსაც გადაივლიდა, აოხრებდა და აპარტახებდა.

ვერაფერმა ვერ შეაჩერა მათი თავდასხმა!

ვერ შეაშინა ისინი ვერც თვალუწვდენელმა ზღვებმა და ტბებმა, ვერც ხშირმა, დაბურულმა ტყეებმა. როცა მდინარე გადაელობებოდათ, პირველი წყებები უშიშრათ ცვიდებოდა წყალში, მათ უკანა წყებებიც მიჰყვებოდა, სანამ მდინარე მკვდრების სხეულთა სქელი ხალიჩით არ დაიფარებოდა. ამ ლეშებზე-კი თავისუფლათ გადიოდნენ მეორე ნაპირს ცოცხლათ დარჩენილები.

ყველაფერს აწიოკებდნენ, მაგრამ არც მათ ადგათ ხეირი. ფრინველები, რამდენსაც-კი წაეწეოდნენ, — უთავბოლოთ ყლაპავდნენ, ჯინჭვლები სასიკვდილოთ კბენდნენ. ათასგვარი ცხოველი მათი ხორციით პირს იტკბანურებდა. თვით ზანგებიც-კი, რომელთაც სწ.მთ, თითქო კალია ღვთისაგან ნაკურთხი მწერი იყოს, დიდის მადით მიირთმევდნენ მათ. მოხრაკული კალია მათი საუკეთესო საჭმელი იყო. აგრეთვე სპილოებისა და მარტო რქის უშველელები ჯოგები ათი ათასობით ფეხქვეშ სრესდნენ გაუმაძღარ მწერებს.

გზა-გზა კალიის ასეთი სიმრავლე ინთქებოდა.

მაგრამ რა!

ყოველ ღღეს ადამიანს მჭარი მოდიოდა და ეს დანაკლისი კალიისათვის საგრძნობლად იყო: რამდენი არ იღუპებოდა, მაინც ჯარები იზრდებოდა და ჩრდილოეთისაკენ მიიწევდა.

(დასასრული იქნება)

დავით დონდუა.



მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



სახალხო ფურცელი

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა.
გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე
ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ.
ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი
თვით ტფილისში 90 კ., საზღვრ გარედ 1 მან. 50 კაპ.
ტელეგრაფული ფასები ერთი შუური. დამატებიანი ნომერი (კვი-
რისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილამდე სრუ-
ლედ გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინა-
ლურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და
ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სასახლის ქ.
სარაჯიშვილის სახლი და წერა-კითხვ. საზოგადოების წიგნის მალაზიაში
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“
ПОЧТОВЫЩИКЪ 190

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიკო და საპოლიტი-
კო გაზეთი

„საქართველო“

უბრემიოდ—ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს
8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის
ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიკრება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა
სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“
ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქარ-
თ-ველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კან-
ტორა ქ. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოს-
ტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габашева № 4.
ящикъ № 76). და წერა-კითხვის საზოგადოებაში.



ქართული
ბიბლიოთეკა

გეგილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
რუსა გუგუილა წალიწალი.

გეგილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთსეულ, ჟურნალში ორი
განყოფილება, ზატარებისათვის და მოზრდილთათვის.

შურნალი «გეგილი» თბილისში ეღირება

4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში** — „გეგილის“ რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფონტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედაქციაში იეიდება ძალიანი იათუათ

ბეელი წლის ნომერები